

**თამაზ გოლერძიშვილი**

# **გადმოქანთულებული პიესები**



გამომცემლობა „პენტავრი“  
თბილისი  
2020

## **მარიანა იაბლონსკა**

### **როლი**

პიესა-რომანი ორ ნაწილად, ხუთ თავად

მოქმედი პირნი:

**თამარ ჩალუნელი** – მსახიობი, 29 წლის

**დემეტრე** – მშენებელი, 37 წლის

**გიორგი ბაკაშვილი** – დემეტრეს კლასელი 37 წლის

**უნა** – გიორგის ცოლი 37 წლის

## პირველი ნატილი პირველი თავი

ზამთარია. დიდი ოთახი. ავტო თითქმის არ დგას. ლოვინი გასაშელელ საწოლზე ვამლილი. კაბები, პალტო და სხვა ტანსაცმლი კედელზე ჩამოკრისალებული. ვიტარაც იქვე კიდია. კუთხეში დგას დიდი ფერი, რომელსაც ძაღლის ჭრელი ნაჭერი აფარია და ზედ ქალის საკმარის დიდი თეთრი მარმარილოს ფიფურა დგას; ხელში, ქართლის დჯდასავით, ხმალი უჭირავს. იატაკი ძოფებილია ყავილებით სავსე სხვადასხვა ზომის შეშისა და თუშუქის ქალებთა და რძის ბოლოებით. ტელუფონიც, მათ შორის, იატაკზე დგას. ჯერ არ გათევებულა. ოთახს ანათებს მოპირდაპირე სახლის ფანჯრებიდან ვადმოსული სინათლე. ოთახში არავინ არის. თუმცა იღება შემოსასვლელი კარი და ისევ სასწრაფოდ იხურება. ოთახში შეძლის ქალი, რომელიც თავშალით ისე შეფერულია, ცხვირი ძროვს ძოუჩანს, ვერდონსა და შვაბრას კართან დატოვებს, ფანჯარასთან მიერა და ვაძმოლებს. თუნდება. ქალი კი ისევ დგას და ისევ უქაჩება. მოპირდაპირე სახლის ფანჯრებში სინათლე ქრება; ის კი ისევ დგას. როცა კარვად ინათებს, ქალი ძოისნის რამდენიმე თავშალის, უხეშ, შავ ტანსაცმლასაც იხდის და შავი ფერის საცურაო კოსტუმის ამარა რჩება. თურნბე ეს ანტება გამხდარი, კონტა ანალვაზრდა ქალი ყოფილა. ქალი იღებს სკამს, ოთახის შეში დადგამს, ცალი ხელით სკამის ზურგს ძოუჭიდება და ნელა, ძონდებილიად, ლამაზად იწყებს კარჯიშს. თან თუკლის: ურთი და ორი, დაა – სამი, დაა – ოთხი. შემოსასვლელი კარის ზარია. თამარი სასწრაფოდ გადაიცვამს ძველ, გაცემილ ხალათს და კართან მიირცხენს.

თამარი – ვინ არის? (კარს იქით სდუმან) ვინ ბრძანდებით? (ისევ სიჩუმეა. მხრებს აიჩებავს, ოთახში ბრუნდება. ხალათს გათხდის, სკამთან მიერა და... ისევ ზარია. უკვირს, ისევ ჩაიცვამს ხალათს და ისევ კართან მიირცხენს) ვინ არის?

დემეტრე – (ხმა კარს ძირმა) მსახიობი ჩადუნელი მინდოდა მენახა... თუ აქ ცხოვრობს... რა თქმა უნდა.

თამარი – აქ ცხოვრობს. (კარს აღებს) მე გახლავარო. (კართან დგას დემეტრე. ცალ ხელში დიდი თავშული უჭირავს, ძეორუეში – ჩანთა. ჰუზა) რა გნებავთ? (დემეტრე დუმს) გისმენთ!

**დემეტრე** – მომიტევეთ, თუ ღმერთი გწამთ. ალბათ, უცნაურად მოგეწვენებათ, ასე ჩვენში არ იცევიან... მაგრამ უცებ ახლოს რომ დაგინაზეთ... ისე ავლელდი, ისე შევცბუნდი და ისე უხერხელად ვივრძენი თავი, რომ... თანაც კარს მიღმა, უმაღლ ვიცანი თქვენი ხმა და გავიფიქრე, ამ დილაადრიან კიდევ კარგი თქვენიანგბიდან სხვა არავინ შევაწუხე-მეთქი. სცნაზე, იმ კაშკაშა სინათლეში, მოლანდებასავით ბრწყინავდით, არა მჯეროდა, ნამდვილად თუ არსებობდით და უცებ... ასე ახლოს, ჩემს გვერდით რომ დაგინახეთ, ამ ძველ ხალათში...

**თამარი** – თქვენ გეგონათ ამ სისხამ დილით სამეჯლისოდ გამოპრანჭული დაგხვდებოდით? რომ გაგეფრთხილებინეთ, მეწვეოდით, რაღაცას მაინც გადავიცამდი.

**დემეტრე** – მესმის, რომ ჩემი საქციელი კადნიერება, უტიურობა, უმსგავსობა და უხამსობაც კია, მაგრამ... საქმე ის არის, რომ ყვავილები გუშინ ვიყიდე... ეს კი არა, გუშინდელი ყვავილები... რომლებმაც უთქვენოდ ძალიან მოიწყინეს. მინდოდა, თქვენთან შემოვსულიყავი, მაგრამ იმდენი ვევილები და თაიგული მოჰქონდათ, რომ როგორლაც შემრცხვა, მარაქაში გავრეულიყავი. მერე სამსახურებრივი გასასვლელის წინ ავიტუზე, დიდხანს გიცადეთ, ვიღრე მთელ შენობაში სინათლე არ ჩაქრა, მაგრამ... ეტყობა, სხვა კარიდან გახვედით. ისე გავთავხედდი, ისე გავთავხედდი, რომ გუშინვე შევეცადე თქვენი ტელეფონის ნომერი გამეგო; მინდოდა, წესიერად, საუკეთესოდ აღზრდილი ადამიანივით მოვქცეულიყავი; დამერეკა და თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გენებოდათ, შეხვედრაზე შევთანხმებულიყავით. მაგრამ, სამწუხაროდ, მიპასუხეს, ქალაქის ტელეფონი არა აქვსო და მობილურზეც უარი მითხრეს. სხვა გზა რომ ვერ ვნახე, ამ დილით დავადექი თავზე ცნობათა ბიუროს და თქვენი მისამართი გავიგვე. მართალია, მამათქვენისა და თქვენი სახელი და თქვენი დაბადების ადგილი არ ვიცოდი... თქვენებს სმინავთ?.. მაგრამ ისე ვთხოვე, ისე ვემუდარე, რომ ჩემი მწირი ცნობებიც საკმარისი აღმოჩნდა. (პაუზა) რა თქმა უნდა, კარგად მესმის, ეს კადნიერი, თავხედური საქციელია, რასაც უკიდურესად ვნანობ, მაგრამ ნება მიბომეთ, გადმოგცეთ... არა, მოგიძლვნათ... არა, თუ შეიძლება, გამომართვით რა, ეს თაიგული... (თამარი უძრისაოდ დვას და შესცემის) ვიცი, გატყობთ, რომ მიჯავრდებით, ასე ადრე და გაუფრთხილებლად მოვედი, მაგრამ კარგა ხანია ვიცდიდი... თქვენ

სახლთან რომ მოვედი, ჯერ კიდევ ბნელოდა... ეტყობა, საჭიროზე ნაკლები ვიცადე... ძალიან, ძალიან მინდოდა, შინ დამხვედროდით. ასე ვფიქრობდი, თუ ვერ მივუსწრებ, მერე ვეღარასოდეს ვნახავ-მეთქი! ამისათვის თქვენიანების შეწუხებასაც არ მოვერიდე. ალბათ, ზარის ხმამ ყველანი გაგაღვიძათ... მაგრამ რა ვქნა?! ისე ძალიან მინდოდა ეს ყვავილები თქვენს ფეხთა წინ დამეყარა... გამომართვით რა! თქმა არ უნდა, უფრო მეტის ღირსი ხართ... ისე მშენივრად ითამაშეთ წუხელ, ისე ბრწყინვალედ... ძალიან მომეწონა. (თამარი დვას და შესცემის) კი, მაგრამ არა გცივათ, დირეზე ორპირ ქარში რომ დგახართ? თანაც უსახელოებო ხალათში? აი, ჩემი კაშნე მოიხვიეთ, ძალიან დიდია!

**თამარი** – (იცინის) რომ მციოდეს, რაიმეს მოვიცამდი საკუთარი გარდერობიდან. ეს ხომ ჩემი ბინაა! (როგორც იქნა, გამოართვა თავული) გმადლობ.

**დემეტრე** – საშინლად მიხარია, ასე ახლოს რომ გხედავთ. ძალიან, ძალიან, ძალიან... არ მინდოდა... ერთი სიტყვით, ვერც კი წარმოვიდგინე, რომ ვეღარასოდეს გნახავდით. თუ შეიძლება... თუ, რა თქმა უნდა, ძალიან არ შეწუხდებით, ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერეთ, ეგებ, ოდესმე, ღმერთმა ნუ ქნას, საქმე გამოგელიოთ, ან მოიწყინოთ, დამირეკეთ. ვერც წარმოიდგინთ, რარიგ გამახარებთ... დამიჯერეთ, ამას გულწრფელად გთხოვთ,... გემუდარებით. (პაუზა)

**თამარი** – რა გაეწყობა, შემოდით. ცოტა... ცოტა კი არა, კარგა მაგრა არეული მაქვს აქაურობა... (შეაჩერებს) ერთი წუთი მადროვეთ... (ოთახში შევა. კვდოს საწოლუქებრივ ჯეხით შეაცურებს, შვაბრას კაბებს ამოაფარებს, საწოლს ჭრულ საბანს დააფარებს) მობრძანდით.

**დემეტრე** – დამიჯერეთ, ასე თაგხედურად არ ვისარგებლებდი თქვენი სტუმარომოვგარეობით, რომ პანიკურად არ მშინებოდა, მოჩვენებასავით არ გაქრეს და არ დამეკარგოს-მეთქი. რასაკვირველია, შემეძლო, ყოველდღე მეარა თეატრში და მეცექირა თქვენთვის, მაგრამ ახლო მომავალში, ამ თვის ბოლომდე გამოკრულ აფიშაზე თქვენი გვარი ვერ ამოვიკითხე. თვიური პროგრამაც შევიძინე, მაგრამ ვერც იქ გიპოვნეთ. მე კი ძალიან მინდოდა... ვიცი, ამას არ უნდა ვამბობდე და ასე არ უნდა ვთავხედობდე, მაგრამ ძალიან მინდოდა გამეცნეთ და თუ

თქვენ ამის საწინააღმდეგოდ რაიმე მიზეზი არ გექნებოდათ, ეს ნაცნობობა გაგვეხანგრძლივებინა.

**თამარი –** (იცინის ცარიელ ქალას იპოვნის და ფავილუბს ჩააწეობს)

საკმაოდ უცნაური ვინებე ყოფილხართ! პალტო გაიხადეთ. გაიხადეთ, გაიხადეთ! სწორედ ახლა ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქს. ჰელენზე ცარიელი ლურსმანი იქნება და ჩამოკიდეთ... და დაბრძანდით! დაბრძანდით ნებისმიერ სკამზე, ოღონდ, გაფრთხილებთ, ერთ-ერთს ფეხი მორყელი აქვს.

**დემეტრე –** აი, ტელეფონი გქონიათ, რატომ მითხრეს, არა აქვსო?! გეფიცებით, ცნობათა ბიურო ავიკელი. არ მინდა, მატყუარა გეგონოთ. ზუსტად ასე მითხრეს, ამ გვარზე ტელეფონი არ ირიცხებათ. ჯერ არ ჩაგირთეს?

**თამარი –** ეს მეზობლის ტელეფონია. როგორც შეამჩნევდით, სახლი ახლახანს აშენეს და მერიისთვის ჯერ არ ჩაუტარებიათ. ჩემი მეზობლები გაზის ჩართვას უცდიან და ვიდრე საცხოვრებლად გადმოვლენ, ტელეფონი მათხვეს. მობილური ახალი ხილია და ჯერ არ შემიძნია. აქ ჩემს გარდა არავინ ცხოვრობს, თუ კიდევ გექნებათ შეკითხვები, შევეცდები, გიპასუხოთ. ახლა კი, თუ არ შეწუხდებით, ჩემსკენ ზურგით დაბრძანდით, ეკზერსისის დამთავრება ვერ მოვასწარი და უნდა მაკალოთ.

**დემეტრე –** უკაცრავად, რა ვერ მოასწარით?

**თამარი –** სამწუხაროა, რომ სპექტაკლის შემდეგ, დილაადრიან, თეატრმცოდნე კრიტიკოსმა არ მომართვა ყვავილები.

**დემეტრე –** როგორ მიხვდით, თეატრმცოდნე რომ არა ვარ?

**თამარი –** ხელოვნებასთან რაიმე შეხება რომ გქონდეთ, ეკზერსისი რა არისო, არა მკითხავდით. ეკზერსისი საბალეტო მოძრაობათა სისტემაა. მაპატიით, მაგრამ თქვენი თანდასწრებით უნდა ვივარჯიშო. ეს ვარჯიში ერთ დღეს მაინც რომ გამოვტოვო, ასე მგონია, ბავშვებისა არ იყოს, სხვისი სათამაშო შევირჩინე.

**დემეტრე –** ეგებ, აჯობებს, წავიდე და მოგვიანებით დაგბრუნდე, თუ, რა თქმა უნდა, ნებას მომცემთ.

**თამარი –** არა, არა, ხელს ვერ შემიშლით. ჩემთვის ახლა უკათესიც არის, ვისაუბროთ, ანუ, როგორც ამბობენ, ვილაყბოთ. ოღონდ, ზურგით დამიჯექით. ანდა, უკეთესია ფანჯარაში იცქიროთ, ათას რაიმე საინტერესოს დაინახავთ. (დემეტრე ფანჯარასთან მივა. თამარი ხალათის ვახდას დაპირებს, ძვრამ ვადაიფიქრებს და სკამთან მივა, ეკზერსის ავრძლებს. ისმის: ერთი დაა, ორი დაა და ა.შ.)

**დემეტრე** – გუშინ თეატრში რომც არ ვყოფილიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით არ მენახა, ამ უამრავი ყვავილის შექმნებარე, მაინც მიგხვდებოდი, მსახიობი რომ ბრძანდებით და უკანასკნელ უამს არაჩვეულებრივი წარმატება გქონდათ. ამ ოთახზე ძველებურად და სენტიმენტალურად შეიძლება ითქვას: ყვავილებში იძირებათ. ამ სიძლერას თუ მოესწარით: „ყვავილებში დამეკარგე, ყვავილივით პაწაწინა“.

**თამარი** – მართალსა ბრძანებთ. მსახიობები, განსაკუთრებით, ქალები, ბეჭინიერი ხალხია! ჩვენ მთელი ქვეწის ქალთაგან იმითაც გამოვირჩევით, რომ ყვავილებს დაკრძალვის დღის ჩათვლითაც გვჩუქნიან. ერთი დაა... ორი დაა...

**დემეტრე** – მომიტევეთ, რომ გაცილებით, მაგრამ ბალეტი თქვენი ჰობია?

**თამარი** – ერთი დაა, ორი დაა! არა, რას ბრძანებთ?! ვერ ვიტან ბალერინების პრანჭვა-გრეხას!! ერთი და... ორი და...

**დემეტრე** – ესე იგი, დრამის მსახიობისთვის აუცილებელი ყოფილა!

**თამარი** – ერთი დაა... ორი დაა... ცრინციპში აუცილებელი არ არის, მაგრამ იმ მსახიობისთვის, წარმატებულ მომავალს ვინც იმედოვნებს, აუცილებელზე აუცილებელია!! ვერც წარმოიდგნოთ, ჩემი ასაკის მსახიობი ქალი რამდენს ჯახირობს, რომ ფორმაში იყოს. ერთი დაა... ორი დაა... და თავს იმიტომ ვიკლავთ, რომ რეჟისორისგან მხოლოდ და მხოლოდ ეს ფრაზა გავიგონოთ: დღეს არა გვიშავს რა, ჩაღუნელო! ერთი დაა... ორი დაა...

**დემეტრე** – რა უბედურებაა!

**თამარი** – ერთი დაა... ორი დაა... ცოდვილობ, წვალობ, საკუთარ სხეულს ანაწევრებ: ცალკე თვალებს ავარჯიშებ, ცალკე – ტუჩებს, ცალკე – წარბებს, მუხლებს, ქუსლებს, წამწამებს, იღლიებს, იდაყვებს, კისერს და ასე შეძლებ და... ერთი დაა... ორი დაა... სამი დაა... ოთხი დაა...

**დემეტრე** – რამდენადაც ვხედავ, თქვენ ყველაფერი ჩამოთვლილი ისედაც ულამაზესი გაქვთ.

**თამარი** – ერთი დაა... ორი დაა... ჩემს ასაკში ისედაც ლამაზი უქვე არაფერი აღარ არის! ერთი დაა... ორი დაა...

**დემეტრე** – ძალიან მიკვირს?! სულ არ კეკლუცობთ. პირიქით, რატომლაც ჯიუტად აწვებით თქვენს, ასე ვთქვათ, „ხანდაზმულობას“. რატომ მიამბობთ ამ ყველაფერს?

**თამარი** — ერთი დაა... ორი დაა... საშინლად ცდებით. მე უსაშველოდ ვკელუცობ. ნუთუ ვერ შეამჩნიეთ, თქვენი შემოსვლის პირველივე წამებიდან ვცდილობ, შემაქოთ! ერთი დაა... ორი დაა... ოღონდ, სხვებისაგან განსხვავებით, მე პროფესიონალი კეკლუცი გახლავართ. მირჩევნა, უფრო მეტად ჩემს გარეგნობაზე მუშაობის შედეგად მიღწეული წარმატებებით ვთამაყო, ვიღრე ასაკისა მრცხვენოდეს. ეს სავსებით გასაგებიც არის; ჩემი მცდელობა და წვალება ჩემი სამუშაოს ძირითადი შემადგენელია. ერთი დაა... ერთი — ორი, სამი ოთხი... (ძვირე პაუზა) რატომ არ მეშის შეძახილი: „შენს ჯაფასა და ოფლის ღვრას ფუჭად არ ჩაუვლია! ყოჩაღ, რა კარგად შენახულხარ, შე ასეთო და ისეთო?“

**დემეტრე** — იმიტომ, რომ თქვენ შესანახი არაფერი გჭირო. თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ და სულ ტყუილად და ნაადრევად გადაშვებულხართ სიბრექსთან საბრძოლველად. მაგრამ გამოგიტყვდებით, ძალიან დამაინტერესეთ. თუ ჩემთან საუბარში ასეთი გულახდილობა გამოიჩინეთ, ეგებ, გამანდოთ, რამდენი წლისა ბრძანდებით? თქვენი ნებაა... რა თქმა უნდა, პასუხი აუცილებელი არ არის...

**თამარი** — ერთი დაა... ორი დაა... ამ შეკითხვაზე მსახიობი ქალი მხოლოდ ორ ადამიანს ეუბნება ზუსტ პასუხს: ექმისა და პოლიციელს, თანაც თუ აიძულებენ. ყველა დანარჩენ დაინტერესებულ პირს მოატყუებს. მაგრამ, რადგანაც სრულიად მოულოდნელად ჩვენ შორის ასეთი გულახდილი საუბარი ჩამოვარდა, გეტყვით... ერთი დაა... ორი დაა... ოცდაშვიდისა ვარ... უკვე... სამწუხაროდ.

**დემეტრე** — მართლა? ბევრად უფრო ახალგაზრდულად გამოიყერებით. სიმართლეს გეტყვით: მრცხვენოდა კიდეც თქვენი სათავილო ახალგაზრდობისა. ჩემთან შედარებით პაწაწუნა გოგონა ხართ. მე ოცდაჩვიდმეტისა გახლავართ!!

**თამარი** — (ვარჯიშს ამთავრებს) ერთი და... ორი და... სამი და... ოთხი! ესაც ასე. ახლა ჩაიდანს დავდგამ. ალბათ, ჯერ არ გისაუზმიათ?

**დემეტრე** — არა, არ არის საჭირო. გეახელით. თუ ღმერთი გწამთ, ნუ შეწუხდებით.

**თამარი** — სულ ერთია, შინ მაინც არაფერი მაქვს. რომ არ გავსუქდე, სახლში არანაირ პროდუქტს არ ვაჭაჭანებ. ესაც არ იყოს, სტუმრებს არ ველოდი. მარკეტში კი ვერ ჩავირბენ, მიზეზთა გამო.

**დემეტრე** – არც არის საჭირო. ვისაუზმე.

**თამარი** – ასე რომ, ჩაის სხას ამ პროცედურას სიმბოლურად თუ ვუწოდებთ... (კუდლითან ტანსაცმელს ჩამოხსნის და ვაღის. ძარტოდ დარჩენილი დემეტრე ინტერესით ათვალიერებს თუას, ქალუებს და ბოთლუებს, ძარმარილოს ფიფურას, ვიტარას. შეძოგის გამოპრანგული თამარი)

**დემეტრე** – ძველი ბერბიჭასავით ცხოვრობთ. თითქოს აქაურობას და იმ ბერბიჭასაც მოხუცი ქვრივი უვლიდეს. ქვრივს ყვავილები და ეს ქანდაკება მაგონებს. უცოლო კაცს კი სხვა დანარჩენი; განსაკუთრებით, გიტარა, ასე უდარდელად რომ კიდია კედელზე. ეს, ალბათ, ძველებური და ძალიან ძვირფასი ქანდაკებაა?

**თამარი** – დიას, მართლაც ძველებური ნამუშევარია. არა მგონია, ძვირი ღირდეს; თუმცა, არც მომსაზრებია შემეფასებინა. ძვირფასი კი ნამდვილად არის. ეს ბებიაჩემის დის ქანდაკებაა.

**დემეტრე** – ცხენები აინტერესებდა თუ მხედარი იყო?

**თამარი** – არა, ისიც მსახიობი იყო. მერმევიკებს პარიზში გაპყვა და თეატრში დაიწყო მუშაობა. ფრანგულს პატარაობიდან სწავლობდა. ეს ფრიად ნაღვლიანი ამბავია. თეატრში ბებიაჩემი ახალგაზრდა ფრანგმა მოქანდაკემ ნახა და გამოძერწა. აღარ მახსოვს, რასინისა თუ კორნელის რომელილაც პიესის პერსონაჟია. ერთხელ ბებიაჩემი პარიზში მოღვაწე ქართველ კრიტიკოსს უნახავს. მეორე დღეს „ფიგაროში“ უშველებელი სტატია დაუბეჭდდაგს. სილამაზეს ძალიან უქებდა, აღნაგობასაც, პლასტიკასაც, მაგრამ ძალიან უნიჭოაო, სასტიკად აკრიტიკებდა. მალე ღვთისმშობლის ტაძარში ჯვარი დაუწერიათ. ეტყობა, მუსლიმებ ბებიაჩემი დაარწმუნა, მსახიობობას შეშვებოდა. ყოველ შემთხვევაში, ქორწინების შემდეგ ბებია სცენაზე აღარ გამოჩენილა.

**დემეტრე** – მერე და ეგ არის ნაღვლიანი ამბავი? ჩემის აზრით, მშვენიერი ისტორიაა.

**თამარი** – ასე გვინიათ? წავალ, ჩაიდანს მოვიტან. (ვადის და ჩაიღნანანდ დაბრუნებება)

**დემეტრე** – ისე მეჩვენება, აქ დიდი ზანი არ არის ცხოვრობთ.

**თამარი** – არ გეჩვენებათ, ასეა. თბილისში წელიწადნახევარია გადმოვდი. ბათუმელი ვარ.

**დემეტრე** – უცნაური დამთხვევაა. მეც წელიწადზე ოდნავ მეტია აქ ვცხოვრობ. ძლივს არ ვიპოვვთ რაღაც საერთო!! ოღონდ, ასეთი მაგარი ოთახი ჯერ არა მაქვს.

**თამარი** – (ჩაის ასხამს) მიირთვით. შესატანებელი არაფერი მაქვს,  
ამ დამარილებული ორცხობილის მეტი. ტკბილ ჩაის უხდება-ეს  
ცარიელი ოთახი გეხვეწებათ კარგად? თქვენ სად ცხოვრობთ?

**დემეტრე** – დიდ დიღომში, ერთი ძველი სახლის სხვენზე, ახლა  
რომ მანსარდას ეძახიან. ესე იგი, ჩვენ, ორივენი ახალმოსახლენი  
ვართ ამ უძველეს ქალაქში. რა უცნაური თანხვედრაა, არა?

**თამარი** – რატომ არის უცნაური? ყოველი დროის ყოველ ქვეყანაში  
ადამიანები ისწრაფოდნენ დედაქალაქისკენ წარმატების, სახელის,  
ბეჭინიერების, ფულის, ფუფუნებისა და კიდევ ვინ მოსოფლის,  
რის მოსახვეჭად. მთელი მსოფლიოს რომანები სავსეა ასეთი  
სიუჟეტებით; ყველა დროისა და ყველა ხალხის ოცნება ეს  
იყო.

**დემეტრე** – თქვენ? თქვენ რამ ჩამოგიყვანათ?

**თამარი** – ნუთუ ამდენ ხანს ვერ მიხვდით?! სახელის მოსახვეჭად  
გეახელით! მე ხომ მსახიობი ვარ. თანაც საკმაოდ თაემოყვარე  
და პატივმოყვარე!! მინდა ყველაზე დიდ თეატრში ყველაზე კარგი  
როლები ვთამაშო. მინდა, ჩემს სპექტაკლზე ისეთი ანშლაგები  
იყოს, ჭალებზე ეკიდოს მაყურებელი.

**დემეტრე** – ყველა ნატვრა აგხდენიათ და ეგ არის. მართალია,  
გუშინ რომ ითამაშეთ, ის თეატრი ყველაზე დიდი არ არის,  
მაგრამ თქვენ მთავარ როლს თამაშობდით და თეატრიც თითქმის  
სავსე იყო. მოსალოცად გქონიათ საქმე. ნუთუ ბედნიერებას არა  
გრძნობთ? (ჰაუზა)

**თამარი** – ვგრძნობ, როგორ არა. მოკლე ვადაში ბევრს მივაღწიე. დედაქალაქის თეატრში მთავარი როლის შესასრულდებოდად  
მომიწვიეს. მართალი ბრძანდებით. რა თქმა უნდა, ბედმა  
გამიღიმა. თქვენ? თქვენ რისთვის ჩამობრძანდით? დედაქალაქურ  
თავგადასავლებს ეძებთ?

**დემეტრე** – (იცინის) არა, რას ბრძანებთ?! ამისთვის როგორ  
ჩამოგიდოდი?

**თამარი** – ესე იგი, თქვენც პატივმოყვარე ყოფილსართ.

**დემეტრე** – არა, თითქოს არც პატივმოყვარე ვარ და არც  
ამბიციური. უბრალოდ, ჩემი საქმე მიყვარს. მე ტიუმენში  
საპროექტო ინსტიტუტის მთავარ ინჟინრად ვმუშაობდი. მაგრამ  
იცით, იქ რატომდაც გაუბედავად, ფრთხილად მუშაობენ. სულ  
მოსკოვისკენ უჭირავთ თვალი. მაგალითს მოვიტან. ერთი, ჩემი  
აზრით, საუკეთესო იდეა მქონდა მაღლივი შენობების ბლოკით

შენების თაობაზე. ჩემი გამოგონება ამ ბლოკების კონსტრუქციას ეხებოდა. მაგრამ ტიუმენში ამ იდეას განხორციელება არ ეწერა: გზებს მიხშობდნენ. აქ კი ამ პრობლემაზე სამშენებლო დარღის მთელი დეპარტამენტი მუშაობს. კარგად შემხვდნენ. წამყვანი ინჟინრად დამნიშნეს. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ. მე ხომ ცხოვრებაში ამ ჩემი ხელობის მეტი არაფერი გამაჩნა!

**თამარი** — როგორც გავიგე, თქვენი იდეას განსახორციელებლად არც კი გიბრძოლიათ, ისე დაითესეთ!

**დემეტრე** — ეგრე გამოვიდა. სწორედ რომ დავითესე. ამას გარდა, ძალიან ქურდობდნენ. პირდაპირ სამშენებლო მოედნიდან ჰყიდვები მასალებს. ამას კი ვერ შევეგუვ და ვერც შევეგუვბი. ისე, ჩვენში დარჩეს და, აქაც ცოტ-ცოტას იპარავენ, მაგრამ ისე თავხედურად — არა!

**თამარი** — თქვენ შეეგძლოთ საქმე გამოგესწორებინათ; მთავარი ინჟინერი ვიყავიო, ამბობთ. დაგეხსნათ ქურდები, კონტროლის პალატიდან მონიტორინგის ჯგუფი მოგეწვიათ.

**დემეტრე** — ვიწვევდი, ვიწვევდი, მაგრამ...

**თამარი** — ჩაი მიირთვით, თორებ სულ გაგიცივდებათ. ორცხობილაც გასინჯეთ. მუქი ფერისა მიირთვით, მე უფრო ეგეთი მომწონს.

**დემეტრე** — ნუ წუხდებით. ნასაუზმევი ვარ. ერთი რამ მაინტერესებს; ამ ქილებსა და ბოთლებში ყვავილებს როცა დგამთ, წყალს რატომ არ უსხამთ?

**თამარი** — რა საჭიროა? მაინც გახმებიან.

**დემეტრე** — კი, მაგრამ წყალში ხომ უფრო დიდხანს იციცხლებენ?!?

**თამარი** — ერთი-ორი დღით! რა განსხვავებაა? გასახმობად მაინც განწირულები არიან. სამაგიეროდ, უწყლოდ ცუდი სუნი არ ასდით. ყვავილჩადგმული წყალი ძალიან სწრაფად ყროლდება.

**დემეტრე** — წყალი არ აყროლდება, თუ ყოველდღე გამოცვლით და ღეროებსაც გამდინარე წყლით ჩამორცხავთ.

**თამარი** — აი, ხომ ხედავთ? წყალს თუ დავუსხამ, მერე მთელი დღე და დამეც ამათ მოვლაში უნდა ვიყო. მე კი შინ თთქმის არა ვარ.

**დემეტრე** — თეატრში ასე დაკავებული ხართ?

**თამარი** — (პაუზის ძრუ) დიახ.

**დემეტრე** — იცით, გუშინდელი თქვენი თამაშის რომელი აღგილები მომეწონა?

**თამარი – რომელი?**

**დემეტრე – როცა სდეუძნით.**

**თამარი –** დრამის შსახიობისთვის ფრიად საეჭვო კომპლიმენტია. ამ რეპლიკით ბალერინებს უფრო გაახარებდით.

**დემეტრე –** რას ბრძანებთ?! დამიჯერეთ, თქვენ დუმილის განსაკუთრებული ნიჭი გაქვთ. როცა ჩუმად ხართ, თვალს ვერ მოგწყვიტავთ კაცი. მხოლოდ ღმერთმა უწყის, როგორი არაჩვეულებრივი აზრები იბადებიან: ნათელი და თანაც სევდიანი, სევდიანი და თანაც ნათელი. ამას როგორ ახერხებთ?

**თამარი –** თქვენ მართლა მაზალო ვინმე ხართ. გუშინ, ჩუმად თუ ვიყავი, უფრო ხშირად იმ ტექსტს ვიხსენებდი, რომელიც შემდგომ უნდა მეთქვა! ამ როლის შესასრულებლად მხოლოდ სამი რეპეტიცია მქონდა.

**დემეტრე –** ისე, წესით, მაგისთანა როლს რამდენი რეპეტიცია დასჭირდება?

**თამარი – დედაქალაქში –** სამოცი ან სამოცდაათი.

**დემეტრე –** რა უბედურება! მაგრამ მაინც მგონია, რომ ცილს სწამებთ საკუთარ თავს. სცნაზე თქვენს დუმილში არის რაღაც არაჩვეულებრივად გასაოცარი... განსაკუთრებული. დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანს, რომელსაც შეუძლია ასეთი დუმილი, რომელიც პარტნიორს ასე შთაგონებული უგდებს ყურს, ბევრი რომ ექნება სათქმელი.

**თამარი – თქვენ მართლაც მაზალო კაცი ხართ, თანაც ჯიუტი.**

**დემეტრე –** რას ჩააცილდით ამ „მაზალოს“. ამ სიტყვას ჩვენ ბავშვობაში ვხმარობდით. თქვენ, წესით, არ უნდა მოსწრებოდით.

**თამარი –** ამ სიტყვას თქვენებური გაგებით არ ვხმარობ. „მაზალოს“ სასაცილოსთან ერთად სევდაც ურევა. (პუზზა).

**დემეტრე –** რა უნდა დაგირეკონ ისეთი, ამ ტელეფონის ზარს ასე რომ ელოდებით?

**თამარი –** ოპო, თქვენ მშენებელთან ერთად დამწყები ტელეპატიც ყოფილხართ! აზრებს მხოლოდ მცირე მანძილზე კითხულობთ თუ დიდზედაც შეგიძლიათ?

**დემეტრე –** ამას რა მიხვედრა უნდა: თვალი სულ ტელეფონზე გიჭირავთ.

**თამარი –** მოგჩვენებიათ! ზარს მართლაც ვეღოდები. უნდა შემატყობინონ, გვაქვს თუ არა საღამოს რეპეტიცია.

**დემეტრე –** იცით, გუშინ რატომ მომეწონა ასე თქვენი სიჩუქე?

**თამარი** – ვიცი. ალბათ, ლაპარაკისას ნაოჭები მიჩნდება სახეზე,  
შუბლზე ან ტუჩების გარშემო. მამაკაცებს ეს არ მოსწონთ.

**დემეტრე** – არა. იძიტომ, რომ, ძალიან დიდ ბოდიშს კი ვიხდი  
ავტორთან, მაგრამ ტექსტი ნამეტანი უვარგისი იყო...

**თამარი** – მართალია. მეც ვაღიარებ, რომ სუსტი პიესაა.

**დემეტრე** – ძალიან მინდა, სხვა სპექტაკლში გნახოთ. თეატრი  
კარგად ვიცი-მეთქი, ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ ხშირად  
დავდივარ. ერთი დასკვნა გმოვიტანე; კლასიკა მირჩევნია. ამ  
პიესებმა ათწლეულებსა და ზოგმა ასწლეულებს ვაუქლო, კარგი  
ღვინოსავით. რომელ კლასიკურ პიესაში თამამობთ? (თამარი  
დუშებ) ხომ არ გამიჯავრდებთ, სამზარეულოში გავიდე და ამ  
ქილებსა და ბოთლებში წყალი ჩავასხა? რატომდაც უხერხულად  
ვგრძნობ თავს.

**თამარი** – მაშინ კიდევ ერთი გასაღები უნდა შევუკვეთო თქვენთვის,  
დიდი დილმიდან „მარშრუტკით“ რომ იაროთ და ყვავილებს  
მიხედოთ. ხომ გითხარით, შინ თითქმის არა ვარ და თანაც  
სიდამპლის სუნს ვერ ვიტან!

**დემეტრე** – მაპატიეთ. არ მიპასუხეთ: რომელ კლასიკურ პიესაშია  
შესაძლებელი თქვენი ნახვა?

**თამარი** – არცერთში.

**დემეტრე** – რატომ? კლასიკა არ მოგწონთ?

**თამარი** – რომელი საათა?

**დემეტრე** – თორმეტის თხუთმეტი წუთია. მგონი, ყურს არ მიგდებთ.  
ნუთუ ისე ძალიან გაინტერესებთ საღამოს რეპეტიცია, რომ  
სტუმარს ყურს არ უგდებთ?

**თამარი** – დიახ! დიახ! გამოცანა გერგბათ! ტელეფონის ზარს  
ველოდები! ახლა ამაზე მეტის არაფრის კეთება არ შემიძლია!  
მართალი ბრძანდებით: თითქმის არ მესმის, რას ლაპარაკობთ!  
თქვენ კი არა, რასაც გპასუხობთ, ისიც კი თავად არ მესმის.  
გამიგეთ; მე ველოდები ზარს, რომელზედაც მთელი ჩემი  
სიცოცხლეა დამოკიდებული!!!

**დემეტრე** – სულელი ვარ! აქამდე უნდა წავსულიყავი.

**თამარი** – პირიქით! იჯეებით. ნუთუ არ გესმით: გინდა ასეთი  
ზარისთვის გიცდია მარტოდმარტოს და გინდა ავადმყოფთა  
გრძელ რიგში მჯდარსარ სურათის გადასაღებად ექოსკოპიაზე,  
სადაც ონკოლოგმა გაგაგზაგნა!

**დემეტრე** – რა უბედურებაა! გამოგიცდიათ?

**თამარი** — დიახ.

**დემეტრე** — რა უბედურებაა! (პაუზა) ესე იგი, ბედმა გამიღიმა და თქვენთან საშინლად საჭირო დროს აღმოვჩნდი?

**თამარი** — მაშ, ვინ გეგონეთ? ქალი, რომელიც პირველსავე შემხვედრს შინ შეიტყუბს? თუ იფიქრეთ, პირველივე ნახვით გავგმირეთ?

**დემეტრე** — (შუაბა) დამიჯერეთ: რაც უნდა მოხდეს, თქვენზე აუგს ვერაფერი მათქმებინებს... ჩემს თავს კი საგმაოდ მდაბლად ვაფასებ. გულახლილად მითხარით: ხელს მართლა არ გიშლით? (დაჯდა)

**თამარი** — არასოდეს შეგიმჩნევიათ, რა რეგვნები და ჯიუტები არიან ეს ტელეფონის აპარატები? თუკი რაიმე მნიშვნელოვან ზარს ელოდები, გინდ თვალებით გაბურდე და გინდა მავთულებიან-პლასტმასებიანი შიგნეული ცქერით აძრუბუგე, მაინც მუნჯივით ჩუქად იქნება. მაგრამ, თუ ისეთ ხასიათზე ხარ, არ გინდა რაიმე ხმაური გაიგონო ან, მით უმეტეს, ვინმემ დაგირეცოს — მაგალითად, აპაზანაში ნებივრობ და სრულიად გასაპნული ხარ, სწორედ მაშინ გასკდება რეკვით.

**დემეტრე** — კი, მაგრამ თქვენ ხომ მშვენიერი შსახიობი ხართ და თქვენი უებრო თამაშით ასობით მაყურებელს ატყუებთ, რა გიჭიროთ, ეს უსულო საგანი მოატყეოთ? (პაუზა) ჩემთვის საინტერესო საგანზე საუბარს დავცილდით. რატომ არ გინდათ კლასიკურ პირსაში გნახოთ?

**თამარი** — იმიტომ, რომ არ ვთამაშობ.

**დემეტრე** — კარგი, კლასიკას შევეშვათ. სხვა სპექტაკლები ხომ არსებობს?

**თამარი** — არსებობს, მაგრამ არცერთში არა ვარ დაკავებული.

**დემეტრე** — ააა, მივწვდი! ამ თეატრში ახლახანს მიგიწვიეს და ჯერ ვერ მოასწარით სხვა როლები მოგემზადებინათ.

**თამარი** — ცდებით. ამ თეატრში საერთოდ არა ვმუშაობ.

**დემეტრე** — (წაძღვა) კი, მაგრამ გუშინ ხომ ჩემი თვალით გნახეთ?

**თამარი** — ეს ჩემი დებიუტი იყო, მაგრამ ამისათვის არავის მივუწვევივარ. პირიქით: დირექციას იქით ვეხეწე და მომცეს.

**დემეტრე** — გამაგებინეთ, რას ნიშნავს თქვენებურად დებიუტი, რომელსაც ხვეწნა-მუდარა სჭიდება?

**თამარი** — რას ნიშნავს და იმას, რომ როლს გაძლევენ, ასე ვთქვათ, ერთჯერადი მოხმარებისათვის. მერე სამხატვრო საბჭო შეიტრიბება და გადაწყვეტინ, დაგტოვონ თეატრში თუ გამოგაპანდურონ. „ხვეწნა-მუდარა“ კი იმასვე ნიშნავს, როგორც თქენ ყველას გესმით. აი, სწორედ ახლა ამ განაჩენს ველოდები. სწორედ ახლა უნდა დამირეკონ და მიძრბანონ, რა გადამიწყვიტა სამხატვრო საბჭოო.

**დემეტრე** — რა უბედურება! ეგებ, არ მოუცადოთ და იქით დაურეკოთ?

**თამარი** — არა! არა! რას ამბობთ? მაგის გამბედაობა ვინ მომცა?

**დემეტრე** — გნებავთ, მე დაურეკავ? ვეტყვი, ძმა ვარ-მეთქი!

**თამარი** — არა, არ მინდა. ლოდინი რაღაც იმედი მაინც არის.

**დემეტრე** — ჩემის აზრით, ყველაზე ცუდი გარკვევა, ყველაზე კარგ გაურკვევლობას სჯობია.

**თამარი** — არა, რას ბრძანებთ? ეგ არ მესმის. ეგ, ალბათ, კაცებს გახასიათებთ. ჩემთვის გაურკვევლობა იმედია. ისიც არ იყოს, პიროვნება, დარეკას ვინც დამპირდა, ფრიად სანდო ადამიანია. თეატრში ისე შემსვდნენ, როგორც მგლების ხროვა ხვდება უცხოს. გამოგიტყდებით, არ გამკვირვებია: თეატრი ოჯახია, ცუდი, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილწევრებიანი, მაგრამ მაინც ოჯახი ეთქმის. წლების განმავლობაში ეთვისებიან ერთი მეორეს. მაგრამ უმთავრესში ყველა ტყუპტბივით პგავს ერთმანეთს.

თამაშის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ. თამაში, შეიძლება ითქვას, ჩვენი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა. ამიტომ როლებს ისე სასურველი ჟინით ველით, როგორც ნადავლს. ნადავლს კი, მოგეხსენებათ, ოჯახი შინაურულად იყოფს, მაინც შეგუებულები არიან, ასე რომ უნდა მოხდეს; უცხოს დანახვაზე კი ბალნი ებურგებათ და კბილებსა კრეჭენ. ბატონი ვანო კი, რეჟისორის თანაშემწეა, თავიდინვე არაჩვეულებრივი სიმპათიით შემხვდა. თავისი ფულით უყიდია ეს ყვავილები, სხვადასხვა ტიპებისთვის დაურიგებია და უთხოვია, ჩემთვის მოერთმიათ. ალბათ, გული გაუსკდება, თუ გაიგებს, რომ ჩემმა „კეთილისმყოფელებმა“ ყველაფერი ჩამიკალეს. აი, ამ კაცმა უნდა დამირეკოს, სამხატვრო საბჭო როგორც კი დამთავრდება.

**დემეტრე** — რას ნიშნავს ეგ თქვენი სამხატვრო საბჭო? ჩვენი მიმღები კომისიასავით არის?

**თამარი** – თქვენი მიმღები კომისია რაღაა? ჩვენი სამხატვრო საბჭოს  
მსგავსი რაღაც, არა?

**დემეტრე** – მგონი, ეგრე უნდა იყოს. (*იუინიახ*)

**თამარი** – როგორც იქნა, შევთანხმდით. (*პაუზა*) რომელი საათია?

**დემეტრე** – თორმეტს ხუთი წუთი უკლია.

**თამარი** – (*ცაბოლუა*) ვერ გამიგია, რა ხდება? საბჭო ათზე უნდა  
დაეწყოთ. ხომ არ გადასძეს? თუმცა ასე რომ იყოს, ბატონი  
ივანე დამირეკავდა.

**დემეტრე** – მოდი, გავრისკოთ და დავრეკოთ. (*კურმილს დასწულა*)

**თამარი** – დადეთ ყურძილი! სწრაფად! (*დემეტრე კურმილს დადებს*  
და თამარს შესცემის, ჩუმად,) ეს მესამე თეატრია, დებიუტი  
რომ მომცეს. წინა ორში უარი მტკიცეს.

**დემეტრე** – რატომ, რატომ?? თქვენ ისეთი სანდომიანი... ისეთი...  
მოკლედ... მე თქვენ... არაფერზე... არასდროს არ გეტყოდით  
უარს.

**თამარი** – აი, ხომ ხედავთ? ბედი ისევ არ მწყალობს. რა  
იქნებოდა, თქვენ ამ თეატრის მთავარი რეჟისორი ან, უკიდურეს  
შემთხვევაში, სამხატვრო საბჭოს წევრი ყოფილიყვათ?! ერთი  
ხმით მეტს დავაგროვებდი.

**დემეტრე** – ნუთუ თეატრში მოწყობა ასე ძალიან ძნელია? ყოველთვის  
მეგონა, ამისათვის მხოლოდ სპეციალური განათლება და  
დიპლომი იყო საჭირო, ისევე როგორც ჩვენთვის: ინჟინერისთვის,  
ექიმებისთვის...

**თამარი** – პროექტიულ ქალაქებში ასეც არის. მაგრამ აქ ძალიან  
ჭირს. ჩემი ასაკის ქალისათვის კი თითქმის შეუძლებელია.  
მგონი, უკვე გითხარით ოცდაშვიდისა რომ ვარ.

**დემეტრე** – თუ ამათაც უარი გითხრეს, მაშინ? (*პაუზა*)

**თამარი** – მაშინ... უნდა მოგახერხო და ვეჩვენო.

**დემეტრე** – რა უნდა აჩვენოთ?

**თამარი** – ნუ შეშინდით. ეს არც ისეთი უბედურებაა, როგორც  
გგონიათ. სხვა თეატრებიც უნდა შემოვაარო და ვითამაშო. ეს  
უფრო ძნელია. ძნელია იმიტომაც, რომ თბილისში ნაცობები  
არა მყავს; ესე იგი, არც პარტნიორები მყავს და იძულებული ვარ,  
მონოლოგები ვითამაშო. სამხატვრო საბჭოს წევრთა მოწყენილ  
და გაქვავებულ სახეებს რომ ვეუყურებ, ხელები მიკანკალებს,  
ამ ბოლო დროს, ზედა ტუჩიც კურდლელივით მითამაშებს. ამას  
ისინი, რასაკვირველია, მშვენივრად ამჩნევენ.

**დემეტრე** – რა უბედურება! მაშინ... საკუთარ თავს ამხელა ტანჯვას რისთვის აყენებთ? ხომ არ აჯობებს, მიაფურთხოთ ამ დედაქალაქს თავის თეატრებიანად და პატარა ქალაქს მიაშუროთ, სადაც, თქვენივე თქმით, ამ მხრივ უფრო გაგითოლდებათ ცხოვრება?

**თამარი** – სწორედ ეგეთი პატარა ქალაქიდან ჩამოვედი. თეატრის რიო დავამთავრეთ, ერთი ჯგუფი იმ ქალაქში წავდიოთ თეატრის „ასალორძინებლად“. მაყურებელი რომ შემოეტყუებინათ, თეატრის ბუფეტში მოქმედების დროსაც კი ჩუქუმად ჰყიდნენ ჩამოსასხმელ არაესა და ღვინოს. ამიტომაც, განსაკუთრებით სასიყვარულო სცენების დროს, დარბაზში დიდი მხიარულება იყო. ერთ საგრიმიოროში ხელოვნური მიხაკებით სავსე დიდი კალათა ედგათ. პრემიერის დღეებში, ამ კალათას მტვერს გადაწმენდნენ, სცენაზე შემოქონდათ და რეჟისორს ფეხებწინ უდგამდნენ, ფარდა დაიხურებოდა თუ არა, კალათას ისევ ძველ აღგილზე დგამდნენ. ამას ერქვა სპექტაკლის წარმატება. მოგეხსენებათ, პატარა ქალაქში მაყურებლებიც ცოტაა და ამიტომ ყოველთვიურად ახალ-ახალი სპექტაკლები იდგმებოდა. მსახიობები როლების ზეპირად დასწავლასაც კი ვერ ვასწრებდით და კარნახი გვჭირდებოდა, გიორგი ერისთავის დროინდელი თეატრივთ. ტექსტის უცოდინარობისა და მოკარნახის უფიცობის გამო ხშირად ისეთი კურიოზები ხდებოდა, გამოცდილი მსახიობებიც ვერ უძლებდნენ და ხმამაღლა ეცინებოდათ. ერთი ასეთი შემთხვევის დროს, თავი რომ ვერ შევიკავე, სცენიდან გავვარდი, მაღლობა ღმერთს, თეატრში ახალი მისული ვიყავი და მხოლოდ სასტიკი საყვედური მაკმარეს, ხელფასი არ ჩამოუჭრიათ! ყოველივე ამ უშსგავსობისა და მოწყენილობის გამო მსახიობი კაცები ბევრს სვამენ; ნასვამები სცენაზეც კი გამოდიან. ყველა მოშლილია და ნერვებდაწყვეტილი. თეატრში ჩასვლისთანავე რამდენიმე მთავარი როლი მომცეს ადგილობრივი დრამატურგების პიესებში. ორნახევარი სეზონი ვითარება თითქოს დამაგბაყოფილებელი იყო. ერთხელაც მორიგი ბანკეტის ბოლოს მთავარმა რეჟისორმა გამიხმო და მითხრა: „ანტიგონე“ უნდა დავდგა, მაგრამ მთავარ როლს ვერ მოგცემ, რადგანაც მსახიობს, როგორც ქალს, თუ არ ვიცნობ, მასთან მუშაობა მიჭირსო. ვითვალთმაქცე, ვითომ ვერ მივუხვდი, რაც შემომთავაზა. მალე კაბინეტში გამომიახა და მითხრა, ერთმანეთს უნდა დავშორდეთო. მეც განცხადება დავწერე და წამოვედი.

**დემოტრე** – რატომ არ შეეწინააღმდეგეთ? ის თავხედიც ხომ ისეთივე თანამშრომელი იყო იმ თეატრისა, როგორც თქვენ? თავი უნდა დაგეცვათ. ესე იგი, თქვენც გამოიქვეცით?

**თამარი** – დიახ. გამოვიქვეცი. თავდაცვას აზრი არა ჰქონდა. სამხატვრო საბჭოში მხოლოდ მისი მამებლები იყვნენ. ჩემი უბედურება, ალბათ, ის არის, რომ რაღაცა მაკლა: ან – ნიჭი, ან – სილამაზე, ან – ჭეუა იმისათვის, რომ სიბინძურე ავიცილო და ისე მივადგე თეატრის ნათელ კარს. ნეტა, ეს ყველაფერი იმიტომაც ხომ არ მემართება, რომ, თქვენი არ იყოს, მეც დეზერტირი ვარ.

**დემოტრე** – ასე ნუ იტყვით... ჩვენ ორივენი ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. ყველა გმირი ხომ არ იქნება?! (პუზა)

**თამარი** – სხვისკენ რომ ისროდხენ, ის ტალახი არ ამცდება, მაინცადამანც მე მომხვდება. აქაურმა ეგრეთ წოდებულმა ქასთინგებმა თავი რომ მომაბეზრა, მიუხედავად ჩემი ნაამბობისა, ერთი ხანობა მაინც გადავწყვიტე პროვონციაში დავბრუნებულიყავი. ბევრ თეატრში ვერ დავბრუნდებოდი, მთავარი ისევ ის რეჟისორი იყო. ავდექი და ბირჟას მივადექი. ხელოვანთა ეს ბირჟა რამდენჯერმე დაშალეს, მაგრამ ხალხი ისევ იკრიბებოდა, თუმცა მსახიობებისა და რეჟისორთა თავშეყრის ეს ალაგი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მივედი და დავდექი. ერთი კარგი ნახევრი საათი მათვალიერებდნენ, ვისაც სურდა, თავიდან ფეხებამდე. უცებ, ვიღაც დაბალი, მელოტი და ლიპიანი ტიპი მომადგა. რაღაცას სხაპასხუპით მეუბნებოდა. ვუცქერდი იმის ღურჯ ტუჩებს და ვერაფრით გამეგო, რას ამბობდა. ბოლოს მივხვდი: უმაღლესი განათლების მქონე დამწყები მსახიობის სრულ განაკვეთს მთავაზობდა თუ თვეში ორჯერ ვეახლებოდი. „არც მუშაობა და არც არავითარი დაქვითვები და დავიდარაბაო!“ ეს რამდენჯერმე ხაზგასმით გამიმეორა. ამ ფრაზამ ისე გამაგიუა, სიფათში კარგა მაგრად ვუთავაზე. ატყდა ალიაქოთი. გაჩნდა პოლიცია, მაგრამ ის დამპალი სადღაც გაუჩინარდა.

**დემოტრე** – რა უბედურებაა!

**თამარი** – „ბევრი რამ ხდება, პორაციო, ამ ქვეყანაზე, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ!“

**დემოტრე** – ეგ სახელი მეცნო.

**თამარი** – შექსპირი. „ჰამლეტი“. პირველი აქტი. მეოთხე სცენა. (პუზა)

**დემეტრე** — მაშ, ახლა, არსად მუშაობთ?

**თამარი** — თითქმის.

**დემეტრე** — და ეგ თითქმის ლარებში როგორ აისახება?

**თამარი** — მცირედ. ასორმოცდაათი ლარი დაუქვითავად! თანაც მოდაზე

უნდა გეცვას. ძველმანში და ნათხოვარ კაბაში გამოწყობილი აქტრისა ამ ძველ ქალაქში თეორ ყვავსა ჰყავს. ასე რომ, ეს თანხა ძალიან, ძალიან ცოტაა. მაგრამ გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო! მეზობელ კორპუსებში კიბეებს ვრცებავ. ეს შტატინა თანამდებობაა: ყოველთვიური შემოსავალი, სტაჟი, დისციპლინა, ცხოვრებისეული გამოცდილება და ასე შემდეგ. ჩემთვის ფრიად მოხერხებული პოზიციაა. დილით ექვსზე ვდგები და რევის ნაწევარზე, ხალხი მოძრაობას რომ იწყებს, სამივე კიბე დაწკრიალებულია. მერე მოელი დღე თავისუფალი ვარ. მაგრამ ამ საქმეს რაღაც მცირე უხერხულობანი მაინც ახლავს. პირველი: რატომლაც ძალიან მრცხვნია. სამუშაოდ რომ გამოვდივარ, ისე ვიფუთნები, მხოლოდ ცხვირი მიჩნას. საბედნიეროდ, სამივე კორპუსში ლიფტია და კიბეზე მოსიარულენი იშვიათად არიან. ამაში, ძალიან, ძალიან გამიმართლა. შეამჩნიერ ხანდახან რა წინააღმდეგობაში ვვარდები? ამასწინათ შემოგჩივლეთ, არასოდეს მიმართლებს-მეთქი, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ოდესაც ყველას უმართლებს, მაგრამ გადის დრო და ეს ყველას, ისევე როგორც მე, გვავიწყდება. არადა, ამ კორპუსებმა მართლაც გამიმართლეს, თუმცა თბილისში ლიფტიან სახლს რა გამოლევს. მეორე უხერხულობა მკვდარი ვირთხებია. ამათ კი ისეთი მყრალი სუნი აქვთ, გული მერევა და ახლა ჩემი ნამოქმედარის წმენდაც მიწევს. ამქვეყნად ყველაზე უფრო ვირთხებისა მეშინა.

**დემეტრე** — რა უბედურებაა. გეფიცებით, ამას ვერც წარმოვიდგენდი. ალბათ, გაგეცინებათ და მე, ჩვეულებრივ მომაკვდავს, რომელსაც ამ ცხოვრებისა ცოტა რამ, ასე თუ ისე, გამეგება, მსახიობების, თანაც ქალების, ცხოვრება, სულ სხვარიგად წარმომედგინა. მეგონა, განსაკუთრებული, ჩვენგან, უბრალო ადამიანებისაგან, განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობდით. იმას კი ვვარაუდობდი, დარღი და ვარამიც ექნებათ-მეთქი, მაგრამ ეს ნაღველიც განსაკუთრებული, ამაღლებული, დახვეწილი მეჩვენებოდა.

**თამარი** — „საბრალო დედოფალა, მორთული ფერადი ფარჩით.

მას აქვს დაბურდული, ოქროსფერი თმები,

ცისფერი დიდი თვალები, პაწაწინა წითელი ტუჩები და

უმოძრაო ხელ-ფეხი.

სთქვი, დედოფალა! იმღერე, დედოფალა,  
რა გქვია შენ სახელად?

ხომ არ მიირთმევ, დედოფალა, ბაგით ალუბლებს?

მაგრამ შენ გინდა ერთადერთი: წყველისაგან განთავისუფლება“.  
გალაკტიონი. „დედოფალა“.

**დემეტრე** – რატომ ეგრეთი სევდიანი გალაკტიონი? ლადო ასათიანი  
გაიხსენეთ:

„სხვა რომ არ იყოს,ჩვენ ამ ლამაზი

ქალების ეშხი დაგვიფარავდა,  
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ

ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა!

მიხარის, როცა სცენაზე გიმზერ, ანათებ, როგორც  
ზღაპრული დალი

და როგორც ნისლი უფსკრულის პირზე,  
ირჩევა შენი ლამაზი ტანი.

ირჩევა შენი ლამაზი ტანი და განა

ძალმიძს არ გითვალთვალო,  
საქართველოს მზით სახედამწვარო  
ანჯაფარიძის ზვიადო ქალო!

სხვა რომ არ იყოს, ჩვენ მარტო შენი და  
ნატოს ეშხი დაგვიფარავდა,

თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა  
რომ ვთქვათ – მარაბდა!

**თამარი** – ჰო, ეს სულ არა ჰგავს იმ ქალს, სხვისი სადარბაზოს  
კიბეზე გული რომ ერვა!

**დემეტრე** – მაშინ, მითხარით, უფრო შესაფერის სამუშაოს რატომ  
არ ეძებთ? სამუშაოს, რომლისაც არც შეგრცხვებოდათ და არც  
გულს აგირევდათ? მაგალითად, ბიბლიოთეკა...

**თამარი** – აბა, რას მეუბნებით?! ამ კიბებს დროებით ვაწესრიგებ;  
სხვა უფრო შესაფერი, როგორც ბრძანეთ, სამუშაო კი უპვე  
ცხოვრებისა და პროფესიის შეცვლაა. ეს თეატრზე უარის  
თქმაა.

**დემეტრე** – ან სიკვდილი, ან გამარჯვება, არა?

**თამარი** – (იცინის) რატომ სიკვდილი? მხოლოდ და მხოლოდ  
გამარჯვება!!

**დემეტრე** – იცით, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამჯერად გაგიმართლებთ. სცენაზე ისე გადასარევად სდუმდით... ეგებ, მაინც დავრეკო?

**თამარი** – არა!! (პაუზა)

**დემეტრე** – ხომ არ შეგცივდათ? ხომ იცით, რამხელა კაშნე მაქვს. **თამარი** – არა! არა, უთეატროდ სიცოცხლე არ შემიძლია!! ამ ბოლო

დროს, დამით სულ რადაც უსასრულო პიესებში ვთამაშობ. იმ პიესებში ეს ჩემი უბადრუეკი ცხოვრება სისხლსავსე, ტრაგიკულად მშვენიერი და ჩემთვის გასაგები და მარტივი ხდება. სიზმარში ვტირი, სულ ვტირი და დილით განწმენდილს მეღვიძება. თუმცა უკანასკნელ დამეებში კოშმარები მომეძალა: სცენაზე უცებ ხან თმები მცვივა და მელოტი ვდგავარ; ხან საკუთარი ცხვირი მძვრება და თითოთ მიჭირავს, სხვებმა რომ არ შეამჩნიონ; ხან ჩემი მონოლოგის წინ ტუჩებს ვერ ვამოძრავებ და იმავე დროს როგორლაც ვხედავ, ბაგები მსხვილი თალხი ძაფით რომ მაქვს ამოკერილი. ვყვირი, ეს ყვირილი მაღვიძებს და მერე ძილის შებრუნებისა მეშინაა...

**დემეტრე** – მშობლები არ გეხმარებიან?

**თამარი** – დედა რამდენიმე წელია გარდამეცვდლა. სწორედ დედასთან ერთად ვიჯექი იმ დიდ რიგში ექოსკოპიაზე, ონკოლოგმა რომ გაგზავნა. დედაჩემი მხოლოდ თავისი პირადი ნალვლაიანი მაგალითით მექმარება. ისიც მსახიობი იყო. მერე მამას შეხვდა. მამა სკოლაში ისტორიას ასწავლიდა. როგორლაც მოახერხა და დედამ თეატრი მიატოვა. მას შეძლევ დედაჩემი ერთ-ერთ უურნალში კორექტორად მუშაობდა. როცა სტუმრები გვეწვევოდნენ, კარგი ხმა ჰქონდა და სულ მხიარულ სიმღერებსა მღეროდა, თან ტიროდა. მეჩვენებოდა, თეატრს მისტიროდა, თუმცა თეატრზე კრინტი არ დაუძრავს და არცერთი თეატრის არცერთი სპექტაკლი აღარ უნახავს. იცით, თეატრი ძალიან ბევრი მსახიობისათვის დაუძლეველი მახა!

**დემეტრე** – მამაც გარდაგეცვალათ?

**თამარი** – არა, რას ამბობთ?! ცოცხალია. ამასწინათ ცოლიც შეირთო და პატარა ბიჭუნაც გააგორა. რა თქმა უნდა, მამა წინააღმდეგი იყო მსახიობი გავმხდარიყავი. სულ იმას გაიძახოდა, მსახიობია თავისი არსით უზნეო ხელობააო. მე ადრე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სამი წელი ვსწავლობდი, მაგრამ ვერ მოვითმინე

და თეატრალურზე გადავედი. ასე რომ, ინსტიტუტშივე, ჩემსავე კურსზე, უპვე ბეპრუხუნა ვიყავი.

**დემეტრე** – მამათქვენს თეატრზე ნაძეტანი მოქველებული შესედულება ჰქონია.

**თამარი** – არ ვიცი, მეჩვენება თუ ნამდვილად ასეა: ჩვენს დროში მსახიობზე ორი რადიკალურად განსხვავებული აზრი არსებოსს, ერთნი, როგორც ძეგლ დროს იყო, მსახიობებს ფუქსავატ, ზარმაც და გარყვნილ ადამიანებად მიიჩნევენ, მეორენი კი – მათ ისეთი გაზვალებული აღფრთოვანებით შესცერიან, როგორც მოწმუნენი ღვთისმობელს. ორივენი სცდებიან.

**დემეტრე** – სხვა მაგალითი რა მოსატანია? თქვენ თვითონვე თქვენი ხელობა საღმრთო რჯული გგონიათ. როგორ შეიძლება პროფესია ასე ფანატიკურად გიყვარდეს?! ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მხოლოდ სამუშაოა? საშუალება – სიმშილით რომ არ მოკვდე. ჩემი საქმე მეც მიყვარს; უპვე გითხარით, ამ სამუშაოს მეტი არაფერი გამარია. ბევრსა და პატიოსნადაც ვმუშაობ, ხანდახან ადამიანებისთვის ყველაზე სასარგებლო საქმედაც მიმაჩნია, მაგრამ თქვენსავით მაინც არ ვაღმერთებ. ზოგჯერ გვარიანი სიძულვილითაც ვეკიდები, ძლიერ მეტოქესავით, რომელსაც მუდამ უნდა სძლიო. (პაუზა) იცით, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ძალიან კარგი მსახიობი ხართ. გუშინ სცენაზე რომ დახტოლით და ათას სისულელეს გვეტიკტიკებოდით, ჩემთვის ვუიქრობდი: აი, ადამიანი, რომელიც ბედნიერად ცხოვრობს უღრუბლო ცისქვეშეთში-მეთქე!! თუ შეიძლება, ნება მომეცით დავრეკო. უკვე მეც დამაწყდა ნერვები!

**თამარი** – არა! არა და არა! და მეტს ნულარაფერს მეტყვით ამაზე!!

**დემეტრე** – რა უბედურებაა!

**თამარი** – ღმერთო ჩემო! რას აგირებებიათ ეს „რა უბედურებაა! რა უბედურებაა! რა უბედურებაა! რა უბედურებაა!“

**დემეტრე** – როგორ გითხრათ? მგონია, ეს გამოთქმა ზუსტად ესადაგება იმას, რაც გარშემო ხდება. იმ თქვენ უსუსურ პიესაშიც ავტორი გვიმტკიცებს, ცხოვრება იოლია, მხიარული რამ არის, უმნიშვნელო გაუგებრობათა ჯაჭვიაო, რაც ბოლო მოქმედებაში ბედნიერად დასრულდებათ. თქვენს დუმილში კი, მომიტევთ, რომ სულ ამაზე ვლაპარაკობ, ისეთი რამ დავინახე... ისეთი მნიშვნელოვნი... თქვენ კი გინდათ, დამარწმუნოთ, ამ

დროს ტექსტს ვიხსენებდიო... თქვენ... (ტელუფონის ზარი!!!  
ორივე წაძოხტება და გაშემდებიან)

**თამარი** – (მუხარჯება. ყურძილის დაიტაცებს) აღლ! ბატონო? ბატონო!!  
გამარჯობა, ბატონო ვანო! შინიდან ფეხს როგორ გავადგამდი,  
თქვენ ზარს ველოდი. ჩატარდა? დიახ... დიახ... მესმის. რაო?  
გასაგებია. არა, რას ბრძანებთ, ბატონო ვანო, თქვენი უაღრესად  
მადლიერი ვარ! არა... არა უშავს... მე თვითონ... მეც... აგრეთვე...  
არა, დიახ, დიახ, მაქვს თქვენი ნომერი. შეხვედრამდე. არა, არა,  
რას ბრძანებთ, თვითონ... (ყურძილი დაგიდა. ფანჯარასთან მივა,  
ვაბოლოებს. დიდი პაუზა)

**დემეტრე** – რაო?

**თამარი** – (მკვეთრად შემობრუნდა) თქვენ კიდევ აქა ზართ? (პაუზა)  
მოდით აქ!! (დემეტრე უახლოვდება) უფრო ახლოს... უფრო  
ახლოს, ნუ გეშინია. ახლა ხელი მომკიდე. (დემეტრე ვაუბუდავად  
ჩავლებს ხელში) უფრო თამამად, თამამად! ეხლა მეორე ხელი  
ბუმუში მომავლე. (დემეტრე უკუკიცა) თქვენ, რა, დაგავიწყდათ,  
ეს როგორ კეთდება? მიდი, დაიწყე. ის ხომ გახსოვთ, ყველა  
მსახიობი ქალი რომ ბოზია? მშვენივრად იცოდით, ამ ბინაში  
მარტო რომ ვცხოვრობ. ამიტომაც მომადექი დილაადრიან  
მოურიდებლად, უბოძიშოდ, გაუფრთხილებლად? რაღას უცდი?  
თუ გვინია, თავად ჩამოგეკიდები კისერზე?

**დემეტრე** – რას ამბობთ? გარწმუნებთ... დამიჯერეთ... არ  
მიფიქრია. თქვენზე ცუდი რატომ უნდა მეფიქრა? თუ მართლა  
ასე გამომივიდა... თუ გაღიზიანებთ... წავალ... მაგრამ ძალიან  
მაინტერესებს, როგორ არის საქმე? თქვენ ისე მენდეთ, ისეთი  
გულახდილი იყავით... ჩემთან არასდროს არავინ ყოფილა ასე  
გულწრფელი... მშობლებიც კი! თუ შეიძლება, მითხარით, რაო,  
ბატონმა ვანომ. მითხარით და იმწამსვე წავალ.

**თამარი** – კი, მაგრამ ანგარიში რატომ უნდა ჩაგაბაროთ? რა  
თქვენი საქმეა? ვინ ზართ ჩემი? ჩაის დასალევად შემთხვევით  
შემოეხეტე!

**დემეტრე** – ჩაი არ დამილევა.

**თამარი** – დალიეთ, დალიეთ!

**დემეტრე** – თუ შეიძლება... ძალიან გთხოვთ... რა გითხრათ?

**თამარი** – (ფანჯარის სექნ შებრუნდება) მითხრა... ბატონმა ვანომ  
მითხრა, ხმის უმრავლესობა... ვერ მოაგროვეო. ხუთით რვა.

**დემეტრე** – კი, მაგრამ ზუთმა ხომ მხარი დაგიჭირათ?

**თამარი** – მერე, მაგაში რა ყრია? (ისევ ვააბოლუა)

**დემეტრე** – იმ რვას რაღა უნდოდა? თქვენი საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდათ? თქვენ ისეთი... თქვენს წინააღმდეგ როგორ უნდა ასწიოს ხელი კაცმა? როგორ იკისრეს? რატომ, რატომ?

**თამარი** – ამ შემთხვევაში თქვენი „რატომ?“ უაზროა. თვითონაც ვერ გეტყვაან, ასე რატომ მოიქცნენ. მშენებლისა კი არ არის: აგური თუ ჩამოვარდა, ესე იგი, ცემენტია ურიგოო!

**დემეტრე** – ცემენტი რა შეაშია?

**თამარი** – აკი, წავალო? კარს გააღებთ თუ დაგეხმაროთ?

**დემეტრე** – გადავიფიქრე.

**თამარი** – რატომ?

**დემეტრე** – იმიტომ, რომ მინდა... ძალიან მინდა, რაიმეში შეგეშველოთ.

**თამარი** – მაინც, რას ფიქრობთ? როგორ დამეხმარებით?

**დემეტრე** – რესტორანში წავიდეთ. ადრე, უსიამოვნება თუ შემხვედებოდა, რესტორანში გავრბოდი. იქ გემრიელად... ჭამა ძალიან შველის. (თამარი არც კი შემობრუნდება და ისევ უქაჩება. პაუზა). ნუთუ არაფერია ისეთი, ახლა რომ გაგახაროთ?

**თამარი** – ძალიან გამახარებთ, თუ წახეალო.

**დემეტრე** – ამას გულით მეუბნებით? მარტო გსურთ, დარჩეთ? აუცილებლად?

**თამარი** – რა ვერ გაიგეთ? (ცეკვის) დაყრუცდი?!?

**დემეტრე** – ნუ ჯავრობთ! წავალ... მესმის თქვენი... (კარისკენ ძირის)

**თამარი** – (არ შემოუბრუნდება) უენი გაადგით, სწრაფად, სწრაფად! თქვენ ახლა ისე უნდა ითესებოდეთ, კატები რომ გამორბიან, ცოცხას რომ წამოვუსვამ. რა თქმა უნდა, სხვა საქმეა, როცა თაიგულით ხელში წარმატებულ აქტრისას ეწვევი და სულ სხვაა, როცა... რას გაშეშეულხარო? გაიქცით! (დემეტრე დაბრუნდება. ჯდება) რა ხდება?

**დემეტრე** – არსადაც არ წავალ! რაც გნებავთ და როგორც გნებავთ მიწოდეთ, მაგრამ... წამსვლელი არა ვარ.

**თამარი** – წახეალო და თანაც სირბილით, თანაც, ახლავე. გიბრძანებთ! ბოლოსდაბოლოს, ჩემი სახლია. შეაყოლეთ აქედან.

**დემეტრე** – არ წავალ!

**თამარი** – სადარბაზოში გავალ და ვიყვირებ.

**დემეტრე** – იყვირეთ, რა! (თამარი აღრიაღლდა) დამშვიდდით... ნუ...

ნუ იტირებთ... რომ იცოდეთ, როგორ მინდა, დაგამშვიდოთ... და როგორ განვიცდი ჩემს უსუსერობას... წამოდით, ფუნიკულიორზე ავიდეთ, „ეშმაკის ბორბალში“ ჩავსხდეთ. კარუსელზე მესამე ქლასში რომ ვიყავი, ბოლოს მაშინ ვიჯექი. მაგარი იყო! ან ზოოპარკში წავიდეთ. ის ბეჭემოთი ვნახოთ, წარღვნას რომ გადაურჩა... ასწორებს. (თამარი ისევ ტირის) რით დაგეხმაროთ, მითხარით... ვიცი, სისულელეს ვროშავ და ეგებ, თქვენ მოიფიქროთ, რით შემიძლია დაგეხმაროთ? თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებ.

თამარი — (იცინას) გვსმენია ეგ სიძლერა! თანაც ბევრჯერ, „თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებ“. და რაღაც წვრილმანი თუ მართლა მოითხოვე, ეგ ხომ შეუძლებელიაო, გიპასუხებენ.

დემეტრე — ამდენი მატყუარა და გათახსირებული სად ნახეთ?

თამარი — თქვენ სხვანაირი ხართ, არა? არაჩვეულებრივი, ხომ? აიღებთ და ყველაფერს გამიკეთებთ, რასაც გთხოვთ? უბრალოდ, მე გთხოვთ, თქვენ გამიკეთებთ! ასეა, არა?

დემეტრე — მე გაგიკეთებთ ყველაფერს, რაც ჩემს შესაძლებლობაშია. ვეცდები, მეტზედაც გავიქჩიო, თუ დაგჭირდებათ.

თამარი — კარგად გაიცნობიერეთ, რაც ახლა წამოგცდათ?

დემეტრე — ძალიან!!

თამარი — მაშ, წადით და მაიმუნი მომიტანეთ!

დემეტრე — კარგი. ნახვაძის. (ჩანთას აიღებს, კარისკენ ძალის)

თამარი — მშევდობით!

დემეტრე — რატომ მემშვიდობებით. ჩვენ ისევ შევხვდებით, თანაც მაღე.

თამარი — არა მგონია.

დემეტრე — რატომ? აბა, იმ მაიმუნს სად წავიდებ? რა თავში ვიხლი?

თამარი — ნუ თვალთმაქცობთ. როგორიც არ უნდა ვიყო, მაინც მსახიობი კარ და ადამიანებს, ასე თუ ისე, ვიცნობ.

დემეტრე — მაშინ მიპასუხეთ, რამ გაფიქრებინათ, რომ აღარ შევხვდებით?

თამარი — იმან, რომ ისე ცდილობთ აქედან სასწრავოდ აითესოთ, არც კი მკითხეთ, რომელი მაიმუნი მსურს მომიტანოთ.

დემეტრე — მსახიობი კი ხართ, მაგრამ აზრზე არა ყოფილხართ, ადამიანი რა ფენომენია. ოცდაჩვიდმეტი წელი მაგის გარკვევას შევალი. თქვენ ხომ არ მთხოვდით, ჯაჭვებით დაბორკილი ორანგუტანგი ან გორილა მომეუვანა? ესე იგი, პატარა მაიმუნი

გინდათ. ამ ქალაქში კი მაიმუნის შოვნა საკმაოდ ძნელია, თუ შეუძლებელი არ არის! დასკვნა: პატარა და ნებისმიერი ჯიშის მაიმუნი გამოდგება.

**თამარი** – ტყეუილუბრალოდ გაგიფლანგავთ ოცდაჩვიდმეტი წელი! მე კი არა, თქვენ ვერ ერკვევით ადამიანებში. ჩვენი სახლის პირდაპირ ბავშვის ტანსაცმლის მაღაზიაა. ვიტრინაში ბიჭუნას, მანექენს, ფეხებთან დიდი, მწვანე, პლუშის მაიმუნი უზის. პირი ყურებამდე აქვს დაღებული და ფართხუნა უზარმაზარი ყურები აქვს. რამდენჯერაც ვიტრინას ჩაფული, სურვილი მიჩნდება, ის მაიმუნი შინ წამოვიყვანო. აი, რა მინდა. თქვენ კი საგანგებოდ აჭიკჭიკდით ცოცხალ მაიმუნზე, აქედან რომ გაიმურწოთ და აღარ დაბრუნდეთ. სხვაგვარად, რამ გაფიქრებინათ, ცოცხალ მაიმუნს მთხოვსო?! რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ შინ თითქმის არა ვარ!!

**დემეტრე** – გასაგებია! (კარისკენ მიღის)

**თამარი** – გაითვალისწინეთ: ის მაღაზია სათამაშოებით არ ვაჭრობს. ასე რომ, შეგიძლიათ უმაიმუნოდ არ დაბრუნდეთ! მშვიდობით.

**დემეტრე** – ბარემ უკვდავების წყალზე გაგებზავნეთ! მაგრამ მაინც არ გემშვიდობებით. (გადის)

**თამარი** – (ახალ სივარუსს კააბოლებს. ფანჯარასთან მივა, იცქირდა. მერე უბის წიგნაკს აძიოდებს და ტელუფონთას მივა) თუატრია? გამარჯობა! მითხრეს, ახალ სკექტაკლზე ქასთინგი უნდა გამოცხადდესო... არა, არა, მსახიობი ვარ... უკვე... ჩატარდა. მომავალი სეზონისთვის? როდის? გაზაფხულზე? გმადლობ. უკაცრავად, შეგაწუხეთ... (დაკიდა, ახალ ნომერს კრუს) თუატრია? გამარჯობა. მსახიობი ვარ... ხომ ვერ მეტყვით, მსახიობთა მორიგ გასინჯვას როდის ატარებთ? აღარ იქნება? აღბათ, გაისად? გმადლობ. მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.... (კურმილს დაკიდებს. ისევ ფანჯარასთან მივა, სივარუსს მოუკიდებს. მისაღები კარის ზარია. კართან მივა) ვინ ბრძანდებით?

**დემეტრე** – მე ვარ.

**თამარი** – (კარს აღებს. დირუზე დგას დემეტრე, ხელში მაიმუნის დიდი თოვარისა უჭირავს. პაუზა) მოიპარეთ? ვიტრინა გატეხეთ და მოიპარეთ? ეს რა ჩაიდინეთ? ხუმრობა არ გესმით? აქლავე დაბრუნეთ მაიმუნი!

**დემეტრე** – დამშვიდდით, არ მომიპარავს.

**თამარი** – აბა, როგორ მოიპოვეთ?

**დემეტრე** – მაღაზიაში მივედი და ჯერ გამგე ვიკითხე.

**თამარი** – პირდაპირ გამგეს მიადექით?

**დემეტრე** – ვიდრე მივიღოდი, ვფიქრობდი, ძალიან გულისამაჩუყებელი

რა ტყუილი მეოქვა და უცებ თვითონ არ დამადგა თავზე! ფრიად სიმპათიური და ახალგაზრა აღმოჩნდა. მეათეკლასელსა ჰგავს, ცხვირზე დიდი მრგვალი სათვალე წამოუდია. დარწმუნებული ვარ, იდეალური მხედველობა აქვს და სათვალე სოლიდურობის ხაზგასასმელად უკეთია. შევხედე და სიმართლე ვუთხარი.

**თამარი** – რა სიმართლეს გულისხმობთ?

**დემეტრე** – ვუთხარი, ეს მაიმუნი ერთ გოგონას თუ არ მივუტანე, სამუდამოდ გამაპანდურებს-მეთქი!

**თამარი** – მოხერხებულად გაგიცურებიათ! ტყუილიც ამას ჰქვია!

**დემეტრე** – რატომ? ასე არ მითხარით...

**თამარი** – რა მნიშვნელობა აქვს, რა გითხარით? ნუთუ მართლა გგონიათ, რომ მტვრიანი, მწვანე პლუშის ნაგლეჯში გახვეული ორი კილო ნახერხი ახლა რამეს მიშველის?? შეხედეთ, რას ჰგავს! (მაიმუნს ვაძლართმუვს) სიმახინჯეა! ისეა გამტვრიანებული, ხელები დამესვარა, ერთი თქვენს ხელებსაც დახედეთ! პალტო? სულ ამოგანგლულია! (მაიმუნს დაუბრუნებს) ახლავე დაუბრუნეთ იმ თქვენ სიმპათიურ გამგეს. უთხარით, ძველ ადგილზე დააბრძანოს, ბავშვების გულის გასახეთქად.

**დემეტრე** – (მაიმუნი ვაძლართვა) იმანაც ეგ მითხრა.

**თამარი** – ვინ იმან?

**დემეტრე** – სიმპათიურმა გამგემ.

**თამარი** – რაო?

**დემეტრე** – რაო და ამ მაიმუნის გამო ადამიანის ცხოვრება რომ დაინგრეს, არ დავუშვებო! თუ ჯერ კიდევ არ გადავიფიქრებიათ, ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას და გაგატანთ. მაგრამ ვიდრე ვიტრინას გავაღებ, კარგად დაფიქრდით: დარწმუნებული ვარ, ის გოგონა, აზრზე რომ მოვა, საჯუთარ თავს გაუბრაზდება, ეს რატომ მოვითხოვე! დააკვირდით, ეს ხომ სიმახინჯეა!! უპვე ბევრი ვიფიქრე-მეთქი, ვუპასუხე. ბატონი ბრძანდებითო და ამოიყვანა ეს მართლა მაიმუნი, გამომიწოდა და დააყოლა: ღრმადა ვარ დარწმუნებული, მალე უკან მომიტანთო. როგორც ეტყობა, იმ სათვალებიან გამგეს ძალიან კარგად ესმის ქალებისა. (კარისკენ ძრდის და მაიმუნიც მასქს)

**თამარი** – ერთი წუთით! მომეცით ეგ მაიმუნი!

**დემეტრე — რა მიბრძნეთ?**

**თამარი** — მომეცით, მომეცით უგ სიმახინჯე! (დემეტრე მაიმუნს გაუწილდებს) არა, არა, ვერ მივეკარები. თუ შეიძლება, აბაზანაში ჩასვით... მეორე კარია მარჯვნივ. კარგად უნდა გაირეცხოს. (დემეტრეს გააქვს მაიმუნი. კუდლიოდან ვიტარას ჩამოიღებს, თაახში დადის და მუკრის)

„სიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე,  
განზე გადექი და ტყვია დაიხალე.

გული გაიხელე, სისხლით გაიხალე,  
ოღონდ არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე.  
განა ცოტა იყო ჩვენში გატაცება,  
ქარში გადავარდნა, ჯვარზე გადაცემა.

(დემეტრე არში შეჯვება და უსმებს)  
ბევრჯერ მიზნისთვისაც შეუკურთხებია,  
სახე მწუხარებით მოუმწუთხებია...  
სიტყვა არ გაბედო, რომ შენ დაიღალე,  
განზე გადექი და ტყვია დაიხალე.  
გული გაიხელე, სისხლით გაიხალე,  
ოღონდ არ გაბედო, რომ შენ დაიღალე“.

გალაკტიონი! გალაკტიონი! გალაკტიონი!!!

**დემეტრე** — რა უბედურება! დაჯექით, თუ შეიძლება! როგორ დაგარწმუნოთ, რომ ნებისმიერი მდგომარეობიდან ათასნაირი გამოსავალი არსებობს. ჯერ ყველაფერი წინ არის. მაგალითსაც გაახლებთ. სკოლაში ჩემ კლასში სწავლობდა ბაკაშა... უკაცრავად, ასე ვეძახდით გიორგი ბაკაშვილს. უმაღლესში ჩემთან ერთად აბარებდა, მაგრამ ჩაფლავდა. ჩაფლავდა თუ არა, მაშინვე ცოლი შეირთო და სასწავლებლად მოსკოვში გაემგზავრა: აქ ნიჭიერ ხალხს არ აფასებენ. ამასწინათ, მოვდივარ ჰელ კინოსტუდიასთან პლეხანოვზე... უკაცრავად, აღმაშენებელზე და ვხედავ აფიშას: „ბებიები ყვავილებს არ ყიდულობენ“. ზემოთ წვრილი შრიფტით აწერია: გ.ბაკაშვილი. ეხლა... შესაძლოა, ეს ის გ. ბაკაშვილი არ იყოს, მაგრამ თუ ის არის, ეგებ რაიმეში დაგვეხმაროს?!

**თამარი** — მართალს ბრძანებთ, მახსოვს უგ გვარი — ბაკაშვილი.... პიესას კი „ბებიები ყვავილებს არ ყიდულობენ“ კი არა — „ბებიებს ყვავილებს აღარ ჩუქნიან!“ ჰქევია.

**დემეტრე** — ალბათ, უხერხულია ოცი წლის უნახავ კაცს თხოვნით  
მიადგე, მაგრამ...

**თამარი** — მაპატიეთ, ცოტა ხნით დაგტოვებთ. მაიმუნს მივხედავ.  
ჩემის მხრივ, დიდი უსინდისობაა, მარტო რომ მივატოვე უცხო  
აბაზანაში.

**დემეტრე** — (პლა, ჩანთას ხელი დააკლო) მეც გ. ბაკაშვილის  
ძებნას შევუდები. სასწრაფოდ...

**თამარი** — როგორც გენებოთ! მგონი, დაბმული არ უნდა იყოთ.  
(ვადის, დაქუჩტრე შედგა, მურჯ ჩანთა იატყაზე დადო და დაკადა.  
თამარს დიდი ტაშტი შემოაქვს, შე მაიმუნი უზის. პაუზა) რომ  
არ მოიწყინოთ, თქვენი თანდასწრებით დავბან. (მაიმუნს ბანს)  
„ჟუპა-ჟუპა! წყალი მაღლე! თავი უკვე დავიბანე....“

**დემეტრე** — რა ყოჩალად აბანავებოთ! შევილები რატომ არა გყავთ?

**თამარი** — ლოგიკური იქნებოდა, ჯერ ქმარი მოგეკითხათ.

**დემეტრე** — გეკითხებით: ქმარი ან საყვარელი ადამიანი რატომ არა  
გყავთ?

**თამარი** — რამ გაფიქრებინათ, საყვარელი რომ არა მყავს?

**დემეტრე** — რომ გყავდეთ, აქ იქნებოდა.

**თამარი** — რა უბედურებაა! წავალ, წყალს გამოვუცვლი. (ვადის,  
მაღლე ბრუნდება და მაშინვე მაიმუნის რეცხვას იწყებს) მხოლოდ  
ჩემ პირველ მამაკაცს ვუყვარდი ძალიან, მოელი სულითა და  
გულით. მამაკაცს ვეძახი და გული მეთანაღრება: მხოლოდ  
ცხრამეტი წლისა იყო; უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე  
სწავლობდა. მაგრამ მხოლოდ ის იყო ნამდვილი კაცი მათგან,  
ვინც ცხოვრებაში შემხვედრია. მე ჯერ თვრამეტისაც არ ვიყავი,  
სკოლას ვამთავრებდი. არ ვიცი, საიდან, ვისგან, როგორ გაიგო  
მამაჩემმა ჩვენი ამბავი და გაგიუდა, გადაირია! იძულებული  
გავხდი, შინიდან წამოვსულიყავი. ოთახი დავიქირავეთ. დედაჩემს,  
რაც შეეძლო. გვიგეთებდა. მოდიოდა, საჭმელი მოჰქონდა. თავი  
რომ გვერჩინა და გადასახადები გვეხადა, ჩემმა კაცმა სადგურში  
მტვირთავად დაიწყო მუშაობა. რატომდაც ყველას დაგვიმალა,  
გულის უქმარისობა რომ ჰქონდა. დღე სწავლობდა, დამით  
მუშაობდა. ავადმყოფობამ თავისი ქნა და ეგრევე, პლატფორმაზევე  
ჩაიკეცა ცემენტით საგსე ქალალიდის ტომრის ქვეშ. (პაუზა)  
წავალ, წყალს გამოვუცვლი. (ვადის და მაღლვე ბრუნდება. პაუზა)  
სხვები... სხვები ძალიან მარტივად ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ  
ჩემს ცხოვრებაში. ჩემთან დადიოდნენ, ერთი და იგივე სიტყვებს

მეუბნებოდნენ სიყვარულსა და... მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ორთქლდებოდნენ. კაცი თუ მოულოდნელად გაქრა, გასაგებია, რაც მოხდებოდა.

**დემეტრე – რა უბედურებაა!**

**თამარი – ჭუპა-ჭუპა! წყალი მალე! თავი უპვე დავიბანე....**

**დემეტრე – და მაიც, შეილი რატომ არ გააჩინეთ? ჩემის აზრით, ქალისთვის ძალიან ძნელი არ უნდა იყოს გაბეჭდინებულეს: ბავშვს გააჩენ და მინიმუმ თვრამეტი-ოცი წელი უანგარო და თავდავიწყებით სიყვარული გარანტირებულია. თუ ბედი გწყალობს, მეტიც! ბავშვი რატომ არ გააჩინეთ?**

**თამარი – იმიტომ, რომ ცუდი ადამიანებისგან ცუდი შვილები ჩნდებიან. თუ გულწრფელი პასუხი გაინტერესებთ – არ ვიცი! როგორდაც ვერ მოხერხდა. ეს ძალიანაც არ მენაღვლებოდა, პირიქით, ხელსაც მაძლევდა. იმიტომ, რომ ყოველთვის მოუწყობელი ვიყავი. ბავშვიც რომ ამეციდა, ყოველდღე ჭამა, ჩაცმა, დახურვა, დაბანა, სეირნობა უნდოდა. ამას ფული და დრო სჭირდება. მე კი არც ერთი მქონდა და არც მეორე. ესეც არ იყოს, ხარშვა მეზიზდება, თანაც – ძალიან!**

**დემეტრე – მაიც არ მესმის. ეს ხომ ბუნების კანონია? ქალს დედობის წყურვილი ჯანში უზის. თქვენ კი გაიძახით: „ყოველდღე ჭამა უნდაო!“ „ხარშვა არ მიყვარსო!“ თანაც ეს ხომ ყოველი ადამიინის მოგალეობაა, თუ ხმამაღლა ნათქვამი არ გამომივა, საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე?! წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოში ყველა ქალმა თქვენსავით რომ დაიწყოს მსჯელობა?!“**

**თამარი – თუ კუჭი ასე აგეწვათ, თვითონ მიპასუხეთ, შვილები რატომ არ გყავთ?**

**დემეტრე – ვინ ვითხრათ, რომ არ მყავს?**

**თამარი – მანსონს, ბრძანეთ, ცხოვრებაში საქმის მეტი სულ არაფერი გამაჩინია!**

**დემეტრე – მომეციოთ, მომეციოთ ეგ მაიმუნი, ეყოფა, რაც სტანჯეთ. მაგრა გავწურავ და აპაზანის თავზე გაბმულ თოკზე დავკაიდებ.**

**თამარი – ასეთი რამ მეორედ აღარასოდეს გაიფიქროთ. რას იტყოდით, ბანაობის შემდეგ ვიღაცამ კარგა მაგრა რომ გაგწუროთ და მერე თოკზე გადაგვიდოთ? ახლა ჩვენ ამ საყვარელ, გაწკრიალებულ ყურშა მაიმუნს აი, ამ ფერად პირსახოცში გამოვახვევთ და ზემოდან... მომეციოთ ეგ თქვენი დიდი კაშნე! ნუ გეშინიათ, არ**

დასველდება, ეს უკვე თითქმის მშრალია! (დემუტრუ დგება, შარვებ ძაწოდებს) და რომ არ გავცივდეთ, ზემოდან ამ რბილ კაშნეს დავთყარებთ. ესეც ასე. (ძაბუბნს ხელში აუკანს, ოთახში დააბიჯებს, არწევს, იცინის)

**დემეტრე** – ღმერთო... ისეთი მარტოხელა ხართ, რომ ვერ გიცემერით.

**თამარი** – ცდებით. სულაც არა ვარ მარტოხელა. ფანჯრიდან იმ სახლს ხომ ხედავთ? აი, იქ ცხოვრობს ყველა ჩემი მეგობარი. აქვე, სულ ახლოს. თბილისში ეს იშვიათობაა. კიბებს რომ დავაწრიალებ, თუ ისევ ადრეა და ძილიც არ მინდა, მაგათთან სტუმრად გადავდივარ. ჯერ იმ ახალგაზრდა ოჯახს ვსტუმრობ, სამი სულისგან რომ შედგება. იმ აივანს ხომ ხედავთ მეორე სართულზე? მათთან იმ დროს მივდივარ, როცა ქმარი ჩანთას გადაიკიდებს და აი, იმ სადარბაზოდან სამსახურში მიდის. შინ მარტოდ დარჩენილი ცოლი ბავშვს ძუძუს მოაწოვებს, მერე კარგად შეუჟუავს, აი, იმ წითელ ეტლში ჩაგორებს და აივანზე გამოჰყავს. მერე ჩაის სვამს და წამდაუწუმ აივანზე გამორბის, რომ შეამოწმოს, ბავშვს სძინავს თუ არა. ხანდახან დაიხრება ხოლმე და დიდხანს აჩხარუნებს სათმაშოს ან უღიძის და ტუჩების მოძრაობით ვამჩნევ, საალერსო სიტყვებს ეუბნება. ძალიან ბედნიერი ოჯახია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ფანჯრიდან ასე მოჩანს. მათთან სტუმრობა მსიამოგებს; ბავშვი ჯანმრთელი, სამნახევარი თვისაა და აივანზე სეირნობს არცერთი დღე არ გაუცდებია. მიუხედავად წლოვანებაში განსხვავებისა, ქალს ძალიან უყვარს ქმარი, რომელიც უფროსია და უკვე დიპიც დაეტყო. მიუხედავად იმისა, რომ სულ შინ არის, ქალი მაინც კოპწიაობს. სამი ხალათი აქვს. ყველაზე უფრო ყვითელი ხალათი უხდება. ეს, ეტყობა, იცის და უფრო ხმირად ყვითელს ხმარობს. შაბათობით აივანზე ქმარიც გამოჩნდება ხოლმე. ის ბავშვს არც ეთამაშება, არც ხელში იყვანს და არც ესაუბრება. დოინჯს შემოირტყამს და სიამაყით დასცექრის ეტლს, ვითარცა მწარმოებელი ბუღა. ეგრევე მიხვდები, ეტლში რომ ბიჭი წევს. ნახევარი საათის შემდეგ, ორი სართულით მაღლა, ერთ მოხუცს ვეწვევი ხოლმე. ამინდის მიუხედავად, ყოველი დღის დიღის რვა საათზე ის უკვე აივანზეა. ზის თავის აღუმნის გასაშლელ სკამზე რატომდაც ქალის ფერადი ქოლგის ქვეშ. საძაგლი მოხუცია. სისხამ დიღით დგება, უსაქმოდ დაბორიალობს,

სულ ბუზლუნებს, ყველას ჭკუას არიგებს და ფეხებში ედება, ვიდრე შვილიშვილის ცოლი არ წაიბურტყუნებს: „პაპი, გადი, რა, აიგანზე!“ ალბათ, ყველაფერი ამრიგად ხდება და როგორც ვატყობ, აივანი მოხუცისთვის იძულებითი ემიგრაცია! დიახ, იძულებითია, რადგანაც ვერც სუფთა პატრია და ვერც მზეს ვერ იტანს. ზამთარ-ზაფხულს ისეა შეფუთნილი, მხოლოდ ნესტოები მოუჩანს; თანაც ამ თავშალების ზემოდან სვანურ ქუდს დაიხურავს და შეძვრება იმ ფერადი ქოლგის ქვეშ. მაგათ აივანს მზე ამოსვლიდან ჩასვლამდე უმზერს. როცა ხანდახან ის სავარძელი ცარიელია, მედარდება, რადგანაც შავი ფიქრები მიტივტივდება: ეგებ, მოხუცი ვეღარასოდეს ვნახო-მეთქი! მაგრამ გამბედაობა არ მყოფინის, გადავიდე, ზარი დავრუკო და ვიკითხო, როგორ არის? საბედნიეროდ, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გვევლინება. მაგ სახლში ერთი მეგობარი კიდევ მყავს. მესამე კლასელი ბიჭია. ყოველი დილის რვა საათსა და თხუთმეტ წუთზე, ბავშვის ეტლსა და მოხუცზე ოდნავ გვიან, ზურგზე აბგააკიდგებული გამორბის თავის სადარბაზოდან, მიიჩედ-მოიხედავს, ჯიბიდან მოზრდილ ფორთოხალს ამოიღებს, სანაგვე ურნაში ჩააგდებს და გარბის. გამოგიტყდებით და, ყოველთვის მინდა, ჩავიდე და ის ფორთოხალი ურნიდან ამოვილო. ვიცი, რომ ხელუხლებელია. ბიჭის ბებიას კარგად ვიცნობ, მიყვარს; ოდნავ გადაფერდებული დადის და ყოველ დილით ბავშვისათვის ახალთახალ ფორთოხალს ყიდულობს. მაგ სახლში ბევრი მეგობარი მყავს.

**დემეტრე** — ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩვენს დროში, ამ აქოთქოთებულ ჟამს, ვინმე თქვენსავით ასეთი მარტოსული იქნებოდა. მეც მარტო ვარ: იატაკს თავად ვრცეხავ, სარეცხსაც; თუ დამჭირდა — გახეულს დავაკერებ კიდეც; საჭმელს თვითონ ვამზადებ, ხანდახან უშსაც გეახლებით, მაგალითად, კვრცხს; გამოგიტყდებით, უმი სოსისიც მიყვარს. გველისმჭამელისა არ იყოს, უმისმჭამელი ვარ, მაგრამ მრწამსით კი არა, იძულებით. ჩემი მანსარდა რომ გაათბო, ერთი ვაგონი შეშა არ ეყოფა. სხვათაშორის, ვახერხებ და მდოგვის საფეხბსაც — ყველა „გარჩიჩნიკს“ რომ ეძახის, იმასაც თვითონ ვიკრავ ზურგზე; შემიძლია, კვირაობით კრინტი არ დაგძრა, მეტროში, პიკის დროს, ფეხს თუ დამბიჯებენ და იდაყვებს მიგლაჯუნებენ, ხმა არ ამოვილო, თითქოს გასაბერტყი მტვრის ტილო ვიყო ან

ხალიჩა. მაგრამ ახლა, იცით, რა გავიფიქრე? ჩემი სიმარტოვე თქვენ სიმარტოვესთან ვერ მოვა!!

თამარი – ცოლი თუ გყავდათ?

დემეტრე – არა.

თამარი – ოცდაჩვიდმეტი წელი ისე იცხოვრეთ, ცოლი არ გყოლიათ?

დემეტრე – არა.

თამარი – რატომ? მომუჩვენა, ბავშვები ძალიან გიყვარო.

დემეტრე – სწორედ ამიტომაც დაგრჩი უცოლოდ.

თამარი – (უცინის) ქალის გარეშე გინდოდათ მაგ საკითხის მოგვარება?

დემეტრე – უფრო კეთილმოწყობილ ბინას ვიშოვნი თუ არა, აუცილებლად ვიშვილებ.

თამარი – სხვისი შვილი... საშიში ზომ არ არის? რა იცი, როგორი შთამომავლობისაა? ეგაც არ იყოს... უკაცრავად, რომ გეკითხებით, მაგრამ უშვილო ბრძანდებით?

დემეტრე – საქმე ის არის, რომ დედაჩემს მხედველობის ნერვთა თანდაყოლილი ატროფია ჰქონდა. მამაჩემიც ბრძა იყო; ომიდან უსინათლო დაბრუნდა. უცხოს შეიძლება გაეცინოს კიდეც, სწორედ მაშინ ნახეს ერთმანეთი. არ დამიჯერებათ, მაგრამ მერწმუნეთ, ძალიან ბედნიერები იყვნენ. ერთმანეთის მიყოლებით... ერთ თვეში დაგვარგე ორივე. ასე მოხდა. იმ გოგონ კი, რომელთანაც კარგა სნის ურთიერთობა მაკავშირებდა, ეს ყველაფერი იცოდა. და შეშინდა... უფრო სწორედ, ბავშვის გაჩენისა შეეშინდა.

თამარი – სხვები?

დემეტრე – სხვებსაც შეეშინდათ. ჩემგან ამ ამბავს რომ შეიტყობდნენ, ექიმებთან საკონსულტაციოდ გარბოდნენ და... ეშინოდათ.

თამარი – ეს მართლა საშიშა?

დემეტრე – რა ვიცი... მე, მაგალითად, როგორც, ალბათ, უკვე შენიშვნეთ, მხედველი ვარ. სათვალეც არ მჭირდება. მაგრამ ექიმები გარანტიას ვერ იძლევიან.

თამარი – „შიშს გულში ნუ შოუშობ, ღმერთი მოწყალეა. თავის გაჩენილს უმოწყალოდ არ დააგდებს. ყოლიფერი მისი ნებაა“.

დემეტრე – ეს რომელი პიესიდან არის?

თამარი – ეს პიესა არ არის. დავით კლდაშვილია, „სოლომან მორბელაძე“.

ალბათ, სკოლაში ისწავლიდით. (სინათლუ აათო)

დემეტრე – ამის დედა ვატირე, დაბნელებულა!! მთელი დღე გასულა!

უნდა გავიქცე. გიორგი ბაკაშვილის მისამართი უნდა დავადგინო. ამდენ ხანს არ უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ თქვენი მიტოვება არ შემეძლო, იმ...

**თამარი** – მდგომარეობაში, არა? სიმართლეს გეტყვით: არავითარ განსაკუთრებულ მდგომარეობაში თუ სასოწარკვეთაში არ ვყოფილვარ. მივეჩვიე. ეგ ჩემი ცხოვრება! თუ შეძლებთ, მომიტევეთ ჩემი ესოდენ იდიოტური კაპრიზი, ახირება თუ ხუჭტური. თუ გამიხსენეთ, დამირუკეთ.

**დემეტრე** – ბაკაშვილზე როგორც კი რაიმეს შევიტყობ, მაშინვე დავრეცავ. ჰო, კიდევ... რაღაც მინდა, შემოგთავაზოთ... ამ ჩანთაში დიდრონი ლამაზ-ლამაზი ფორთოხლები მიდევს... სულ დამავიწყდა... აიღეთ. თქვენ ხომ დღეს არაფერი გიჭამიათ?! ხილი არ ასუქებს.

**თამარი** – ასუქებს და მერე როგორ! არა! არა! არ არის საჭირო, კარგად ბრძანდებოდეთ.

**დემეტრე** – თქვენც... აგრეთვე... კარგად. ამ მაიმუნი მაიმუნის სრულ პასუხისმგებლობაში გატოვებთ. წავედი (ვადის)

**თამარი** – (ვიტარასთან მივა. უნდა ჩამოხსნას. ხელები პურში გაუშუშდა. მერე კარისკენ გაქანდება, გამოაღებს და კვირის) მოიცავდეთ! მოითმინეთ! ეი, ინჟინერო! თქვენ გეუბნებით (ბრუნდება აქლოშინებული დემეტრე. პაუზა) თქვენი დიდი კაშნე დაგავიწყდათ. (მაიმუნს კაშნეს შემოხსნას და დემეტრეს გაუწივის) სულ არ დასველებულა. ხომ გეუბნებოდით? აი, ნახეთ.

**დემეტრე** – (კაშეს შემოიხვევს) დიდად გმადლობ. სულ დამავიწყდა. არც გამხსენებია... ღამე მშვიდობისა.

**თამარი** – თქვენც ტეპილ ძილსა და სიზმრებს გისურვებთ. დარეკეთ. (კარს მიკუთავს. მაიმუნს დაასეირნებს, მერე ტანსაცმლიანად დაწვება საწოლში. ერთხანს წევს. უცებ, წამოხტება, სინათლეს ჩააქრობს, ისევ დაწვება და საბანს წაიხურებს. სიჩუმეა. მოპირდაპირე სახლის სარკმლებიდან სინათლე იღვრება. თამარი წამოხტება, შემოსასელელ კართან მიირბენს და გამოაღებს. დირუზე დემეტრე დვას) ისევ აქა ხართ?

**დემეტრე** – დიას.

**თამარი** – დაუჯერებელია, მაგრამ მომეჩვნა, რომ თქვენი სუნთქვა მესმის. რატომ არ წახვედით?

**დემეტრე** – დამავიწყდა, ტელეფონის ნომერი მეკითხა...

**თამარი** — მერე? კარზე რატომ არ დამირეკეთ?

**დემეტრე** — რატომდაც ვიფიქრე, გამოვედი თუ არა, ეგრევე, ტანსაცმლიანად ჩაწერით და დაიძინეთ.

**თამარი** — მერე, გინდაც ასე ყოფილიყო, მთელი ღამე აქ უნდა მდგარიყავით?

**დემეტრე** — რა მოხდა? ხვალ ხომ კვირადღეა! ესაც არ იყოს, რაც უფრო მეტად სამარცხვინო და სასაცილოა, დამავიწყდა სახელი მეკითხა... პროგრამაში მხოლოდ ინიციალი ეწერა, თანაც მეტნითა და გაურკვეველი ხელით მიჯდაბნილი. მეტობელმა მაყურებლებმაც არ იცოდნენ თქვენი სახელი: ახალიაო და...

**თამარი** — (იცინის) რა გაეწობა! მეტი რა ჩარაა: მოგვიწევს გავიცნოთ ერთმანეთი. მე თამარი მქვია.

**დემეტრე** — ულამაზესი და უპირველესი სახელი სრულიად საქართველოში!! გვარიც უიშვიათესი და ულამაზესი გაქვთ. ეს ბებიათქვენის დაც ულამაზესი და უიშვიათესია. ხოლო თქვენ, პირადად თქვენ... თუ არ გამიბრაზდებით, უუულამაზესი და უუუიშვიათესი ხართ. მე, პირდაპირ გეტყვით, ჩვეულებრივი, უფერული სახელი — დემეტრე მქვია. სამი ენი. დე-მე-ტრე! (დვანან და ერთმანეთს შესცემრიან)

**თამარი** — იცით... უნდა გამოგიტყდეთ... მე მაინც წამომცდა ერთი... ტყუილი... ოცდაშვიდის კი არა, ოცდაცხრისა ვარ. (პაუზა) მიუხედავად ამ დღიდ წლოვანებისა, თქვენი არ იყოს, მხედველობა მეც კარგი მაქვს და შევამჩნიე, რომ თეთრ პერანგზე თეთრი ღილი შავი ძაფით მიგიკერძიათ. ეს როგორ დაგემართათ? (ორივე ჩუმად იცინის. პაუზა) იცით, რას გეტყვით? ამოალაგეთ ეს თქვენი ფორთოხლები! ნუ მუნწოდთ. ერთად გავანადგუროთ!! სცენაზე ხშირად მივირთმევდი, მაგრამ უგემური იყო — პაპიე-მაშესი. (იცინაან) მაცივარი რომ მქონდეს, დღეს აბსოლუტურად ცარიელი იქნებოდა, რადგანაც ბიუჯეტი უნიათოდ გაფლონგე და ხელფასამდე მხოლოდ სამი ლარი დამრჩა! (ისევ დგანან და ისევ შესცემრიან ერთმანეთს)

**დემეტრე** — რა უბედურებაა!

**თამარი** — უბედურება და ეგეთი?! (პაუზა) შემოხვალთ თუ არა?

## ჩანელება

## მეორე ნაშილი

### მეორე თავი

(ქუჩა. ქალთა კონსულტაციის წინ თამარი დვაბ, შეძლის დემუტრე)

დემეტრე — ექიმთან უპვე იყავი?

თამარი — ვიყავი.

დემეტრე — რაო, ქალთა კონსულტაციის ჯადოქარმა?

თამარი — ჯერ შენ მითხარი: ბაკაშვილები ისევ არ პასუხობდნ?

დემეტრე — ძალიან გთხოვ. ჯერ შენ მითხარი, ექიმმა რა გთხორა?

თამარი — წადი, რა, ისევ დაურეკე. ავტომატისთვის ხურდა ხომ დაგრჩა?

დემეტრე — ბლომად! მითხარი, რა, ექიმმა, რაო?

თამარი — რაო და საქმე კარგად არისო. თუ ყველაფერი ასევე კარგად გაგრძელდა, გირჩევ, თავს ძალიან გაუფრთხილდე და მოუარო. მსახიობი ხარ და ბავშვის მოშორება არც კი გაიფერო. ისეთი ვითარებაა, აბორტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს კარგად დაიმახსოვრეო! მერე ვეღარაფერი გეშველება და უშვილო დარჩებით. თუ თავს მიხედავ და მოუვლი, ყველაფერი კარგად დამთავრდება და ბედნიერი დედა იქნებით!

დემეტრე — ბავშვის მოშორებას ვინ აპირებს, რო?! გაურეკია, ვიღაცაა. თუ... შენ ხომ არა გაქვს მაგ ლამაზ თავში რაიმე შავი ფიქრები?

თამარი — გაგიჟდი?

დემეტრე — ჰო და, ჩვენი ბიჭი... იცოდე, აუცილებლად ბიჭი უნდა გამიჩინო, თორემ... (იცინას) ძალიან გთხოვ, ამ პირველ ბიჭზე დამითმე და მეორეს შენ დაარქვი, რასაც მოისურვებ. ამას კი მამაჩემის პატივსაცემად ზაქრო დაგარქვათ. ხომ გიამბე, მოხალისედ წავიდა და თავის ქალის დაზიანების გამო, ბრძან დამიბრუნდა. მაგრამ ერთხელაც არ დაუწუწუნია. მუდამ ხალისიანი იყო, ბრძან დაამთავრა ინსტიტუტი და უკანასკნელ დღემდე მუშაობდა. ჩვენი ზაქროც ასეთივე პატიოსანი, ვაჟკაცი და ყოჩალი იქნება; აი, ნახაგ!

თამარი — დაარქვი, როგორც გენებოს. მით უმეტეს, ჯერ ამქვეყნად არ არსებობს.

**დემეტრე** – როგორ თუ არ არსებობს? მორჩი, ეხლა... ეგეთი ხუმრობაც არ მიყვარს. არსებობს! სადღაც ზომ არსებობს და უკვე გრძნობს, რომ მისი რიგი მაღლე მოვა.

**თამარი** – (იცინის) გვინია, დაუბადებელი ბავშვები სადღაც, სხვა სივრცეში რიგში დგანან, როგორც საუკეთესო სპექტაკლის ნახვის მსურველი მაყურებლები თეატრის სალაროსთან?

**დემეტრე** – აბა, რა! ზაქროს რაც უფრო მოუთმენლად დაველოდებით, მით უფრო სწრაფად გამოცხადდება. არ მესმის, აქ რატომ ვდგავართ? ახლავე გავვარდეთ უნივერმაღში და ყველაფერი ვუყიდოთ.

**თამარი** – რა უნდა ვუყიდოთ?

**დემეტრე** – უპირველეს ყოვლისა, პატარა ლამაზი საწოლი. ისე მოვაწყობთ შენ ოთახს...

**თამარი** – (აწყვეტილებს) ჩვენ ოთახს!

**დემეტრე** – რა ბრძანე? დიახ, დიახ, ოთახს ისე მოვაწყობთ, რომ საწოლი ყველაზე ნათელ და თბილ ადგილას აღმოჩნდეს, ტანსაცმელი ზომ უნდა? ფეხსაცმელიც! ცივა, სქელლანჩიანები უნდა ამოვარჩიოთ.

**თამარი** – ღმერთო ჩემო! დემიკო, უკვე ოცდაჩვიდმეტისა ხარ და ზომ უნდა იცოდე, რომ ბავშვები ერთ წლამდე ფეხს არ იდგამენ. ვერ დადიან.

**დემეტრე** – თადარიგი? თადარიგი უნდა დავიჭიროთ, ჩემო დამწყებო დედიკო. ახლავე წავიდეთ „ბავშვთა სამყაროში“ და რაც მოვეწონება, ვიყიდოთ ნებისმიერი ასაკისათვის!

**თამარი** – ექვსი წლისთვისაც?

**დემეტრე** – დიახ!

**თამარი** – თხუთმეტისთვისაც?

**დემეტრე** – დიახ!

**თამარი** – ოცდასამისთვისაც?

**დემეტრე** – დიახ! თუმცა არა. მაგ დროს თვითონ იყიდის, თავისი ხელფასით.

**თამარი** – უმნიშვნელო წვრილმანი დაგავიწყდა.

**დემეტრე** – რა? თბილი საბანი?

**თამარი** – არა...

**დემეტრე** – წავედით!

**თამარი** – იჩქარე, იჩქარე, არ დაგაგვიანდეს.

**დემეტრე** – რა დაგემართა?

**თამარი** — არაფერი. რაიმე ხომ არ დაგავიწყდა?

**დემეტრე** — თუ დამავიწყდა და გამახსენებ! წავედით.

**თამარი** — მაშინ... წადი... გაიქცი!

**დემეტრე** — მოიცა, მოიცა... მაპატიე... ისე გამახარე, ისე გამახარე,

რომ ყველაფერი დამავიწყდა. დავრეკე, დავრეკე; როგორც იქნა, დავრეკე. ახლახანს ჩამოსულან, საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფილან და მერე ზღვაზე დაუსვენიათ. ის გიორგი ბაკაშვილი აღმოჩნდა. და, რაც საოცარია, მისი ბინა ას მეტრშია შენი სახლიდან!

**თამარი** — ჩვენი სახლიდან!

**დემეტრე** — რა სთქვი?

**თამარი** — ჩვენი სახლიდან-მეთქი!

**დემეტრე** — ჰო, რა! ვეღარა ვკითხე, პიესებს შენა წერ-მეთქი? თუ წერს, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. ისიც კი ვერა ვკითხე, ისევ ის ცოლი გაყას თუ გამოცვალე-მეთქი? ალბათ, გეტყოდი, მე და მისი მეუღლე ერთ კლასში ვსწავლობდით — ოღონდ პარალელურში. ასე რომ, პროტექცია ორმაგი იქნება. ხომ არ გეწყინება, პირველად უშენოდ რომ ვესტუმრო?

**თამარი** — არა, საწყენი რა არის?

**დემეტრე** — აბა, წავედი, ჯერ „ბავშვთა სამყაროში“ შევივლი და მერე ბაკაშასთან.

**თამარი** — ეგბ, პირიქით აჯობებს?

**დემეტრე** — არა, ვინ იცის, ბაკაშვილთან რამდენ ხანს შევრჩები; რაც უნდა იყოს, ოცი წელია არ გვინახავს ერთმანეთი. მაღაზია, შეიძლება დაიკეტოს. ხელად შემოვირბენ. ვერ მამის ხვდი, ხომ? ყიდვას არაფრისას ვაპირებ, შე სულელო. უბრალოდ, სწორედ ახლა ძალიან მესიამოვნება, ბავშვის ნივთებისა და ტანსაცმლის დათვალიერება. შენ კი შინ დაბრუნდი და მელოდე, როგორც სამაგალითო მეუღლეს შეჰქონდეს.

**თამარი** — თუ ის გიორგი ბაკაშვილი აღმოჩნდა, არ დაგავიწყდეს და აუცილებლად უთხარი, შვიდი მთავარი როლი რომ ვითამაშე. ის პიესები არ ეცოდინება, მაგრამ მაინც უთხარი... აქაურ დებიუტზე კი არაფერი წამოგცდეს!

**დემეტრე** — კარგი, წავედი.

**თამარი** — ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

**დემეტრე** — ამინ!

## მესამე თავი

ბაკაშვილების დიდი, ახალი ბინა. რემბრანტია. წიგნები და აუკუნი გაზოუბითა და გადასაფარებლებით არის დაფარული. იატაკზე ღრა ჩემოდანი დავს. კარის ზარი. უახ სასწრავოდ დააფარებს მავიაზე დადგებულ შოკოლადის დიდ ბონბონიერს სახურავს, მაღავს და კარისკენ მიდის

ჟანა – ვინ არის?

დემეტრე – გიორგი ბაკაშვილის ნახვა მინდა, თუ შეიძლება.

ჟანა – (კარს აღებს) შეიძლება, შეიძლება.

დემეტრე – ჟანა... თქვენ ხომ ჟანა ხართ?

ჟანა – დიახ...

დემეტრე – მე დემეტრე ვარ! დემეტრე თავდადებული კი არა, თავგასიებული! სკოლა დაგავიწყდა?

ჟანა – არა, არა! მაშინვე გიცანით. დემეტრე... თავგასა... აი, გვარი კი აღარ მახსოვს.

დემეტრე – ვერ წარმოიდგენ, როგორ გამეხარდა, რომ დაგინახე! თავადაც არ მოველოდი, ისე გამეხარდა. შენ?.. ისეთივე მშენიერი ხარ... ოლონდ... გასუქებულხარ... ოდნავ. თმა შეგიჭრია. გაშავერემანებულხარ; მახსოვს, ქერა კიკინები გქონდა.

ჟანა – ყველანი გავსუქდით და გაგშავგვრემანდით. კარში რას ვდგავართ? ოთახში შემობრძანდით... დემეტრე... დაბრძანდით. (შემოდიან, სხდებაახ)

დემეტრე – რა თქვენიბით მელაპარაკები, ჟანიკო? მეუხერხულება.

ჟანა – ენა არ მიტრიალდება, თქვენნაირ დარბაისელ კაცს შენობით ველაპარაკო. რაც უნდა იყოს, თვრამეტი წელი გავიდა.

დემეტრე – როგორც გენებოს. მე კი შენობით მოგმართავ. გინდა გეწყინოს და გინდა – არა.

ჟანა – ბოდიშს გიხდით ამ არეულობისათვის. ეს ბინა ახლახანს იმასგექნით და რემბრანტი დავიწყეთ. დაწყება ადვილი იყო, მაგრამ ბოლო არ უჩანს. ახალი ავეჯი შემოვზიდეთ თუ არა, ანტალიაში მოგვიხდა დასასვენებლად გამგზავრება. მომკლეს ამ კურორტებმა! წელიწადში რამდენჯერმე გვიწევს მოგზაურობა. რეცხვა, დაუთოება, ყოველდღიური უათიფუთი, ჩემოდნების ჩაღავება-ამოლაგება, მგზავრობა, აეროპორტები, თვითმფრინავები, ავტობუსები, ტაქსი, სადგურები, უცხო ოთახები; დააუთოვე -

ჩამოკიდე, აკრიფე - ჩაალაგე! ერთი სიტყვით, წამებაა, ცხოვრება კი არა!

**დემეტრე** – კარგი ბინა გიყიდიათ. კარგად წასულა გიორგის საქმე! ჟანა, იცი, მართლა როგორ გამეხარდა შენ და გიორგი ასე ერთგული ცოლ-ქმარი რომ აღმოჩნდით. ჩვენს დროში ეს იშვიათობაა. თვრამეტი წელი გავიდა და...

ჟანა – არ მიმატოვა... ეს გინდოდათ, გეთქვათ, არა?

**დემეტრე** – პირიქით. მინდოდა, მეთქვა, ისევ ძველებურად უყვარზარ-მეთქი!

ჟანა – რა თქმა უნდა, ვუყვარვარ. ახლა უკვე უფლება აღარა აქვს, არ ვუყვარდე. როგორ არ ვეწამე, ვიჯახირე და ვიტანჯე მასთან ერთად. უსინდისო კაცი უნდა იყოს, აღარ ვუყვარდე... ასეა, გენაცვალე! ეს ბინა კი ჩვენი უკანასკნელი ბუდეა. ერთი ნახევარი წლის მერე, თვალს ვერ მოსწყვეტო, ისეთი სილამაზე იქნება.

**დემეტრე** – რამდენი შვილი გყავთ?

ჟანა – შვილებისათვის ვერ მოვიცალე! ბატონ გიორგისა და მთელ ჩვენ მეურნეობას გადაგყევი. თქვენ... რატომ... გიორგის რა მოუტანთ?

**დემეტრე** – რა მოვუტანე? და რაც ასეთ დროს არის მიღებული...

ჟანა – ნუ ეშმაკობთ. დიდია თუ...

**დემეტრე** – არც დიდია და არც პატარა. ჩვეულებრივაა...

ჟანა – ყველა ასე ამბობს და მერე ისეთსას დააძრობენ, რომ... აბა, მიჩვენეთ? (დემეტრეს ჩანთიდან ამოაქვს კონიაკი. ჟანა ვაძლართდევს) ეს არა, ეს არა, დემეტრე, ხელნაწერი ამოიღეთ.

**დემეტრე** – რა ხელნაწერი? არავითარი ხელნაწერი არა მაქვს.

ჟანა – აბა, ჩანთა მიჩვენეთ. (უჩვეუბს) მართლაც, არა გქონიათ. თქვენ რა, უხელნაწეროდ მოხვედით?

**დემეტრე** – რომელ ხელნაწერზე მეუბნები, უანკა? არაფერი მესმის.

ჟანა – დემეტრე, მართლა არა სწერთ?

**დემეტრე** – ისე ნერვიულობ, ჩემო უანოჩქა, შემრცხვა კიღეც, აქამდე რომ არაფერი დამიწერია. შემდეგ მოსვლაზე აუცილებლად...

ჟანა – (აწყვეტილებს) მაპატიე, დემე, ვიფიქრე, შენც წერა დაიწყე და გიორგის მოუტანე. მას შეძლევ, რაც ჩემმა ქმარმა მწერლობა დაიწყო, ჩვენი ცხოვრება ბედუქუღმა გადატრიალდა. ახლა ჩვენთან სტუმრად ისე არავინ მოდის, ხელნაწერი თუ არ მოიტანა,

ლექსები და მოთხრობები მაინც იყოს; ან პიესები – ახლა ორმოქმედებიანზე დიდს აღარავინ წერს. არა, ბატონო, რომანები მოაქვთ და თანაც თორმეტკარიანი. იცი, დემიკო, რაც ამ კაცის ცოლი გავხდი, ლიტერატურა შემძლდა, მშობლიურიცა და მსოფლიოც!! თუ არ წერენ, კითხულობენ, თუ არ კითხულობენ, კამათობენ; სულ ერთი და იგივეს ამბობენ: „ჰემინგუეი გიგნტია, კაფკა – გადასარევიო, ფოლკნერიც ასევეო!“ ან „ჰემინგუეი და კაფკა რაღა დროსია, ახლა ბორხესი, ლაგერკვისტი, სალმან რუშდი და ჯოზეფ კუტზე არიან ოლიმპის მწვერვალზეო. აი, ეს სისულელე მეშმის ყოველ ცისმარე დღე. ჭერას რომ მეკითხებოდეს, არცერთ მაგის მეგობარ-მწერალს შინ არ შემოვუშვებდი. ამას გრძნობენ და ტელევიზიონში თუ შემხვდნენ, იმ წამსევ ყურძილს დაკიდებენ. ეს ჩემი დონდლო გიორგი ნებისმიერ სისულელეს საათობით უსმენს. სხვები ეციდება, საკუთარი ოჯახისთვის კი ვერ მოუცლია. აგარაკზე, საკუთარ აგარაკზე ჯერ არც კი ყოფილა. მარტო მე რას გავაწყობ? აქეთ-იქთ თრევას საკუთარ აგარაკზე დასვენება არა სჯობს? აი, ასე ვცხოვრობთ, ამას თუ ცხოვრება ჰქვია. შენი ფაფარი სად გაქრა, დემეტრე? საფეთქლებზე შერჩენილი თმებიც გაგჭაღარავება! მაშინვე გიცანი! ნუთუ მართლა უანგაროდ, სანახავად მოხვედი! სკოლა გაგახსნდა?

**დემეტრე – (შუბა)** ისედაც დიდი ხანია მინდოლა...

**ჟანა – (აწყვეტინებს)** ფული ხომ არ გინდა, რომ სიხოვო? ყველა-ყველა და ეგ სიკეთე არ გაგვაჩნია. ხომ ხედავ, რამხელა რემონტი წამოვიწყეთ. აგარაკიც დასამთავრებელია, იქაური ბაღ-ბოსტნი მოსაწესრიგებელი, ერთი თვითმცლელი ფუნა ასორმოცდათი ლარი ღირს.

**დემეტრე –** არა, რას ამბობ, ჟანკა... არ მიჰირს.

**ჟანა –** ძალიანაც კარგი! ესე იგი გვინახულე, არა? ბორჯომს ხომ არ დალევ?

**დემეტრე –** არ მინდა, გმადლობ. გიორგი სად არის?

**ჟანა –** ახლავე მოვა, გაისეირნა. ბორჯომი კი უნდა სვა – სასარგებლოა. თანაც ცივი, მაცივარში მიდევს. ახლა შენ მიამბე, რასა იქმ?

**დემეტრე –** დავვოჯახდი.

**ჟანა –** რას მეუბნები? როდის?

**დემეტრე –** დიდი ხანია. ოცდამერვე დღეა.

**ჟანა** – (იცინის) ოცდარვა დღეა დიდი ხანი? ახალნაქორწინევი ყოფილხარ!! მუშაობ? მგონი, გოორგი მოვიდა. (ვადის. ხმა იხმის) გიორგი, მოდი აქ! ახლავე აბაზანაში მიბრძანდი! აბაზანაში-მეთქი, გეუბნები! თათები დაიბანე! აბაზანაში-მეთქი, ვის ვეუბნები?! გიორგი, სტუმარი გეწვია!

**გიორგი** – (შეძრდის) მოხვედი? კარგი გიქნია.

**დემეტრე** – სალაში, ბაკაშ!

**გიორგი** – სალაში, სალაში, თავგას! იჯექი, იჯექი, რას წამოხტი? აბა, ერთი, კარგად შეგხედო. გასუქებულხარ, თმა შეგოხელებია... ჟანა იცანი?

**დემეტრე** – აბა, რა!

**გიორგი** – ილაპარაკეთ? მაგრა შეიცვალა, არა?

**დემეტრე** – ცოტა... სულ ოდნავ... შენ კი სულ არ შეცვლილხარ, გიო, საოცარია, პირდაპირ! ოღონდ ცოტა კი არ გამზდარხარ... რაღაცნაირად მობუზულხარ... სკოლაში რომ ვიყოთ, შეკუმშულხარ-მეთქი, გეტყოდი. (იცინის) დაცოტავებულხარ!

**გიორგი** – შეიცვალები კი არა, უარესიც დაგემართება. მე ხომ თვითნასწავლი მწერალი ვარ... ფილოლოგიური კი არა ზოოვეტი დავამოავრე. ძალიან დიდი ჯავა დამჭირდა, პირველი მოთხრობა რომ დამებეჭდა. კიდევ კარგი, თავიდანვე მივხვდი, რომ ამ საქმეში თუ ხარ, თავს უნდა გაუფრთხილდე და არაფერი გეწყინოს. გაგაგიუბენ, თავზე დაგსხამენ... ერთ ყურში შეუშვი, მეორედან გამოუშვი და იმუშავე. რაღაცას თუ მივაღწიე, იმის წყალობით, რომ არ ვიბოლგებოდი და ვმუშაობდი. კარგი, გვეყო, ჩემზე ლაპარაკი. ცოტა საკუთარ თავზე მიამბე. ჩემი რაიმე წაკითხული გაქვს?

**დემეტრე** – სამწუხაროდ, არა. რაღაცნაირად ვერ გადავაწყდი.

**გიორგი** – ნუ დაიჩარებ, წაკითხე და არ ინანებ. მოთხრობების ორი კრებული და ერთი რომანიც გამოვეცი. „დაჭირობანა“ ჰქეია. ამათ რომ ქვეყანა ციხეში... ისევ ჩემზე ვლაპარაკობთ. ხმა ამოიღე, რაღაც მიამბე! მოთხრობებიც არ წაგიკითხავს?

**დემეტრე** – მე ხომ არ ვიცოდი, შენ თუ...

**გიორგი** – უურნალებშიც იძეჭდებოდა, ვიდრე წიგნად დაისტაბბა. იქ შეგიძლია ნახო. გავიგე, ტიუმენში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე გიმუშავია. აქაც დიდი თანამდებობა გაქვს?

**ჟანა** – (კარში გამოჩენდა) ახლავე კონიაქს მოგარომევთ. ლიმონსაც დავჭრი. „ნაპოლეონიც“ დაგვრჩა.

გიორგი – საქმე, საქმე – ლაპარაკის ნაცვლად!

ჟანა – დემიკო, ხომ დალევ?

დემეტრე – ცოტას გადავკრავ. თანამდებობას არა უშავს, ხელფასსაც. უკვე ორი წელია ჩამოვედი.

ჟანა – ხომ არ აჯობებს, ვისკი და შოკოლადი მოგართვათ?

დემეტრე – ნუ შეწუხდებით, თუ ღმერთი გწამო. სულ ერთი წუთით შეძოვირბინეთ.

ჟანა – ახალშერთულ ცოლთან მიგეჩარება? შენც გეჩვენება, რომ ზამთრის გრძელი ღამეები დამოკლდა? თურმე ცოლი შეურთავს და ვეკითხები, დიდი ხანია-მეთქი? ძალიან დიდი ხანია, უკვე ოცდამერვე დღეაო!

გიორგი – გილოცავ, გილოცავ... ვიღაცამ გვითხრა, ცოლი ჯერ არ შეურთავსო და ვიფიქრე, მთელ კლასში ერთი ჭკვიანი ბიჭი მაინც გვყოლია-მეთქი! შენ კი საკუთარი ნებით შებმულხარ მონობის უდელში

ჟანა – გიო!!

გიორგი – ვიხუმრე, ვიხუმრე... მოგვიტანე რამე, ქალო, ასეთი მიზეზი გვერნია და უპრიანი იქნება, ერთი-ორი ჭიქა გადავკრათ.

ჟანა – ერთი სული აქვს, ვიდრე სამზარეულოში გამაგდებს! კაცი ოცი წელია არ მინახავს და მომასმენინე, რას ამბობს.

გიორგი – წელან თანამდებობა გვითხე და არ მიპასუხე... საიდუმლოა?

დემეტრე – არა, კაცო! მთავარი ინჟინერი ვარ.

ჟანა – გიორგი! მე თუ მავიწყდება, შენ არ უნდა შემახსენო? კონიაკი და ლიქიორი წუხელ ბუღაძებთან ერთად არ გამოვწრუუჲო. მგონი, კახური ჩამოსასხმელი ღვინო დაგვრჩა... ყველსაც მოვიტან.

გიორგი – მერე მოიტანე, მოიტანე, რას უდგეხარ. (ჟანა ვადის) აბა, მითხარი, რა მოიტანე?

დემეტრე – არაფერი... ისე... სანახავად მოვედი.

გიორგი - მაგას ვინ ჭამს! ცხოვრებამ ჭკუა მასწავლა. ოცი წლის პაუზის მერე უბრალოდ, სანახავად ვინ დადის? აბა, დააძრე, დააძრე!

დემეტრე – „ბებიები ყვავილებს არ ყიდულობენ“ შენი დაწერილია?

გიორგი – „ბებიებს ყვავილებს აღარ ჩუქნიან!“ ასე ჰქვია. ჩემი დაწერილია. მოგეწონა?

**დემეტრე** – არ მინახავს, აფიშა ვნახე.

**გიორგი** – წადი, ნახე, მოგეწონება. მაგარი რამეა. თუ ბილეთებს ვერ იშოვნი, დამირეკე. გადამყიდველებთან არ იყიდო, ძვირს აფასებენ. დამირეკე და ვეცლები, დაგეხმარო.

**დემეტრე** – ესე იგი, შენია... (პაუზა)

**გიორგი** – ლამაზია?

**დემეტრე** – ვინ?

**გიორგი** – ის მსახიობი გოგო, ვინც თეატრში გინდა მოაწყო?

**დემეტრე** – ულამაზესი!!

**გიორგი** – ესე იგი... საყვარელია?

**დემეტრე** – არა, ცოლია!

**გიორგი** – გასაგებია... საიდან ჩამობრძანდა?

**დემეტრე** – გიო, სამი წელი ეგრეთწოდებულ თეატრში იმუშავა...

**გიორგი** – ისიც ასე ამბობს, „ეგრეთწოდებულიო“? მაგარი ვინმე ყოფილა! რადიკალ-მაქსიმალისტი!! ვხუმრობ, ვხუმრობ. მერე? მერე? ამოშაქრე!

**დემეტრე** – იმ თეატრში შვიდი მთავარი როლი ითამაშა. წითელი დიპლომი აქვს, მშვენივრად მღერის, უფრო უკეთ ცეკვას. ყველაფერი რიგზე აქვს!

**გიორგი** – რამდენისაა?

**დემეტრე** – ოცდა... შვიდის.

**გიორგი** – გამორიცხულია!

**დემეტრე** – რა არის გამორიცხული?

**გიორგი** – გამორიცხულია! ამ შემთხვევაში ვერაფრით დაგეხმარები. ვერიკო ანჯაფარიძეც რომ იყოს, ოცდაშვიდი წლისას არ აიყვანენ. ასე რომ, რა გიყო, ვერ დაგეხმარები. მძიმე მრეწველობის მინისტრად უფრო მოგიწყობ, ვიდრე თბილისის რომელიმე თეატრში (პაუზა)

**დემეტრე** – რა უბედურება!

**გიორგი** – სანამ დროა, ისწავლოს და პროფესია შეიცვალოს (პაუზა) ყურები რას ჩამოყარე? ეგრე გიყვარს? ყველა არტისტი ხომ არ იქნება? თბილისში ეს ძალიან მნელია. (პაუზა)

**დემეტრე** – (წამოდგა) წავალ, მაშინ... თქვენც ბევრი საქმე გაქვთ და მეც... ცოლთან ერთად შემოგივლი... როდისმე...

**გიორგი** – მოიცა... რას წამოხტი? დაჯექი. უანა! მოგვიტან რამეს თუ არა? (პაუზა) შენები როგორ არიან?

**დემეტრე** – სადღა არიან, ჩემო კარგო. უკეთ რვა წელია გარდამცვალნენ.

**გიორგი** — მაგარი მშობლები გყავდა. ნამდვილი გმირები იყვნენ! რას  
იზამ?.. მშობლები კვდებიან... დედაჩემიც გარდაიცვალა.

**დემეტრე** — კარგად მახსოვეს. ვიზიარებ, ბაკაშ...

**გიორგი** — იცი, რა ვწათ. იმ კვირაში ჩემთან მოიყვანე. ოღონდ  
ახლავე გაფრთხილებ: სინიდისი მქენჯნის და ამას იმიტომ  
ვაკეთებ. მომიყვანე. ნუ გეშნია, მექალთიმე არა ვარ. ოცი  
წელი რომ ერთ ქალთან იცხოვრებ, თანაც ისეთთან, ოცივე  
წელი შენი ერთგული როა, მხოლოდ თავს კი არა, საქალეთსაც  
შევაზიზღებს. შენ ცოლს პროფესიული თვალით შევხედავ.  
ახლახანს ერთი პიესა დავამთავრე. „შენ და მხოლოდ შენ“  
ჰქეია. მთავარი როლის შემსრულებელი ოცდაცხრა წლის  
უნდა იყოს. მთავარი რეჟისორის ცოლი ამ როლს კბილებით  
ჩააფრინდა. ის კი... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ერთი  
სიტყვით, შევთანხმდით: იმ კვირაში დამირეკე და მოდით! უანა!  
სად დაიკარგე, უანა!

**უანა** — (*შეძლეულის ორი ცარიული ჭიქს*) დემიკო, არ შეგიძლია,  
იატაკევეშა გათბობის სისტემა გვიშოვო? ოღონდ, ამერიკული,  
ჩინური რამდენიც გინდა, ყრია. ალბათ, მშენებლობებთან გექნება  
კავშირი...

**დემეტრე** — უანკა, მაპატიე, მაგრამ ეგეთ საქმეებში არ ვერევი. მაგას  
ჩენითან „ლევი ტავარს“ ეძახიან და რომ მოქლა, ეგეთ საქმეში  
ცხვირს ვერ გამაყოფინებ!

**უანა** — ყოჩაღ, თავგას! როგორ გეტყობა, ჩენიანი რომ ზარ და  
პატიოსნად ცდილობ, მოიპოვო პური შენი!

**უანა** — ამ რემონტის გადამკიდეს, ყველაფერი მეკარგება. გასაღები  
ძლიერს ვიპოვე, ბარი გავაღე და არცერთი ბოთლი არ დამხვდა!  
ჩაიდანი დავდგო!

**გიორგი** — (*შეიშუშნა*) ჩაი იყოს, ოღონდ რამე შემოიტანე!

**უანა** — კარგი მურაბა მაქს, უგემრიელესი. სამოთხის ვაშლისა.  
ყოველ წელს ერთ ვედროსა ვხარშავ. ერთი ბეწო სიმწარე არ  
აქვს. ზომ გამისინჯავ?

**დემეტრე** — ნუ შეწუხდები, უანკა, ზომ გთხოვე?

**გიორგი** — არც ბორჯომს დალევ? გაყინულია.

**დემეტრე** — არა, გმაღლობ. წავედო.

**გიორგი** — ცოლი არ უნდა შეგერთო, მშაკაც!

**უანა** — დემეტრე, აკი მითხარი, უბრალოდ, სანახავად შემოგიარეთო?!

თურმე მეუღლის თეატრში მოწყობა გნდომებიათ. რომ მცოდნოდა,  
გეტყოდით, შინ არ არის-მეთქი! არა! იცრუეთ! მომატყუეთ!

გიორგი — უანა! მორჩი ბოლოს და ბოლოს!

ჟანა — რა ჟანა! რა ჟანა! მთელ ქვეყანას ეხმარები, საკუთარი  
ოჯახისთვის კი თითსაც არ ანძრევ. აი, ამ შენ თანაკლასელს  
თავისუფლად შეუძლია დაგეხმაროს, მაგრამ, არაო, პრინციპები  
მაქსო! ადექი და უპასუხე, რომ არც შენა ხარ უპრინციპო.  
(გადის)

გიორგი — ხომ ხედავ, ჩემო ძმაო, ოჯახურ ურთიერთობასა და  
მწერლობას ერთი და იგივე კანონები აქვთ: აქაც მთავარია, არ  
გეწყინოს და არ დაიბოლო. გაწყენინებენ და მეორე ყურიდან  
გაუშვი.

დემეტრე — ეგ არაფერია, გიო, ჩვენ ხომ შინაურები ვართ და  
ასეთებადაც დავრჩებით. შემაგვიანდა! (ხმამაღლო) მაპატიე, ჟანკა.  
ნახვამდის!

ჟანა — (სამზარეულოდან) ბედნიერად!

დემეტრე — წავედი, გიო!

გიორგი — რახან არ იშლი... ესე იგი, შევთანხმდით, ხომ?

ჟანა — (სამზარეულოდან) დემეტრე, კარი ფრთხილად გამოაღეთ,  
თორემ გიორგი კიბეზე გავარდება.

დემეტრე — შენც მოდიხარ?

ჟანა — (სამზარეულოდან) არა, ეგ არა! ძაღლი, პინჩერი გავარდება!  
მაგას კი როგორმე მე მოვუვლი! (დიძიჭრი გადის)

## მეოთხე თავი

თამარის ოთახი. სიახლი: ფანჯრებზე ფარდები ჩამოუდარებიათ,  
ბავშვის პრიალა ხის საწოლი, ბავშვის მაღალი კორულაჭებიანი  
სკამი, იაფეასიანი ლარნაკი, განიური ტახტი. მციდის მავივრად  
დოდი ყუთები, რომლებზედაც ჭრელი ძუშაბბა აფენა. საღამოა.  
თვითნაკეთ მავიდაზე ორი ჭიქა, ორი თუფში და ტორტი დეკვე.  
თამარი მავიდას უზის. ბავშვის საწოლში კიღაც ვარდისფერი  
ატლასის საბამში განვეული წევს. შემოდის დემეტრე. ბავშვის  
სკამი, ლამის ქოთანი და თავული უჭირავს.

**დემეტრე** – ესაც ჩვენი უფლისწულის ზაქროს სავარძელი. ეს თქვენთვის მომირთმევია, დედოფალო! (თაიგულს კადასცემს) მოთმინებითა შენითა ეს ნამდვილად დაიმსახურე, ყოჩაღი გოგო ხარ! ეს კი ჩვენ, შენ და მეც, მეც ხომ მერგება? (მავიდაზე ერთ ბოთლს დაკინოს დაფვამს)

**თამარი** – როგორ შეიტყვე, დემიკო?

**დემეტრე** – შენზე ყველაფერი ვიცი! შენ როგორდა შეიტყვე?

**თამარი** – თავს ნუ ისულელებ. შეიძლება ეგ არ შემეტყო?

**დემეტრე** – თუ ეგრეა, ისლა დაგვრჩნია, მივულოცოთ ერთმანეთს და კარგა მაგრა შეეუბეროთ!! ვხედავ ჩვენს განსაკუთრებულ საფირმო ნუგბარს, ეს გახლავთ ტორტი „ზღაპარი“, რომელსაც მე და მხოლოდ მე გადავსანსლავ, რადგანაც ჩემი დედოფალი ფიგურას უფრთხილდება. ჩემმა დედოფალმა მხოლოდ გარემო კი არ შემიქმნა ზღაპრული, ჩემი კუჭიც ზღაპრით აავსო.

**თამარი** – ხომ იცი, რომ აღარაფრისთვის არა მცალია. ახლა დილიდან საღამომდე თეატრში რეპეტიციებზე უნდა ვიჯდე, გაფაციცებით ვუთვალთვალო ყველას და ყველაფერს, რომ, ღმერთმა დაიფაროს და, არ დავუგვიანო ღიმილი მავანსა და მავანს, ეგებ შტატში ამიყვანონ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხელშეკრულება ნახევარი წლით გამიგრძელონ.

**დემეტრე** – განა გსაყვედურობ, არავითარ შემთხვევაში! მშვენიერი დიასახლისი ხარ. მთავარი უნარიანობა კი არა, გამომგონებლობა და ფანტაზია. საუზმედ, სადილად და ვახშმადაც „ზღაპარი!“ გმაღლობ, უფალო, რომ გამიმართლე და შემახვედრე ასეთი ტკბილი ცოლი.

**თამარი** – თქმა არ უნდა, იდეალური ქმარი ხარ. იდეალური ხომ ის ქმარია, რომელსაც საკუთარი ცოლი იდეალურზე იდეალური ჰგონია.

**დემეტრე** – ეგ რომელი პიესიდან არის?

**თამარი** – არ მახსოვს. მგონი, ამ თემაზე ანეკდოტი არსებობს.

**დემეტრე** – ყვავილებს ისევ უწყლო ლარნაკში რატომ აწყობ?

**თამარი** – თუ ეს შენ ასე ძალიან გაწუხებს, ახლავე ჩავუსხამ წყალს მაგ ყვავილებს ერთი პირობით: ყოველდღე შენ გამოუცვლი.

**დემეტრე** – გამოვუცვლი, გამოვუცვლი, ოღონდაც ჩაუსხი და ყოველდღე გამოვუცვლი, გპირდები.

**თამარი** – სულ ასე მპირდები და აქაურობა სულ ყარს. (წყალს მოიტანს, ლარნაკში ჩაასხამს) რა ვქნა, დემიკო, ვერ მოვასწარი

რამე მეყიდა... მთელი დღე დაბალქუსლიან აგსტრიულ ფეხსაცმელს ვეძებდი და ჩემი მოსაწონი ვერ ვიპოვე.

**დემეტრე** – დაბალზე რად გინდა? მაღალქუსლიანი მალიან გიხდება.

**თამარი** – მეხუმრები? აკი, ვიციო?

**დემეტრე** – აა! თუ ამიტომ გინდა, საწინააღმდეგო არაფერი მაქს. დროა, შემოვუსხდეთ მაგიდას და თქვენი გამაოგნებელი გამარჯვება აღვნიშნოთ.

**თამარი** – შენიც, ჩემი კარგო, შენიც! ამ საქმეში შენც ხომ მონაწილეობდი?!?

**დემეტრე** – ვმონაწილეობდი და მერე როგორ! მაგრამ ვფიქრობდი და ახლაც ასე მგონია, ეს გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, შენმა გმირულმა საქციელმა მოგვიტანა... მერე კი ბაკაშვილმა. მოდი, ახლა შენი საღღეგრძელო შევსვათ, მერე კი ბაკაშვილისა.

**თამარი** – გადამრევს ეს კაცი! ბაკაშვილი რა შუაშია?

**დემეტრე** – როგორ თუ რა შუაშია? იმანაც ხომ იხლაფორთა!

**თამარი** – შენ, რა, მართლა გინდა გამაგიჟო თუ ასე უკბილოდ ხუმრობ? შეურაცხყფას რად მაყენებ?

**დემეტრე** – თუ გწეინს, ხმას აღარ ამოვილებ. მაპატიე. ბოდიშს გიხდი. გავკარი ბაკაშვილს! აღარც ვახსენებ. ჩავთვალოთ, რომ ეს გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ შენმა გმირულმა მოთმინებამ მოგვიტანა. აბა, გაგიმარჯვის! (ჭიჭას მუჯვახუნებს, დალუებს) რატომ არ სვამ?

**თამარი** – ჩემთვის ხომ არ შეიძლება... დღეიდან ჩემთვის არც სმა შეიძლება და არც მოწევა.

**დემეტრე** – რა დაგემართა? ავადა ხარ?

**თამარი** – (იცინის) არა, ძალიან, ძალიან, აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ და სწორედ ამიტომაც აღარ შეიძლება არც თამბაქო და არც ალკოჰოლი. (პაუზა) აკი მითხარი, ვიციო. (პაუზა)

**დემეტრე** – (იცინის) რა უბედურებაა!

**თამარი** – (იცინის) უბედურებაა და მერე ეგეთი! (დგებთან და შეცტერიან ერთმანეთს. პაუზა)

**დემეტრე** – (ჩაბურდა) რა სულელი ვარ! ხა-ხა-ხა! რეგვენი! ხა-ხა-ხა! ბაკაშვილიც რომ გავიყვანე საქმეში! ხა-ხა-ხა! იხლაფორთა-მეთქი! (დიდხანს იცინიან. ძერე ვთორვი ხელში აიტაცებს თამარს და ოთახში დააბზრიალუებს.)

**თამარი** – დემიკო, დემიკო, ფრთხილად. თაგბრუ მესვევა! ასე ნუღარ  
მომექცევი, ცოტა უნდა გამიფრთხილდე.

**დემეტრე** – (ფრთხილად დასკამს) მთლად გამოვყეყეჩდი. ამ  
სიხარულმა დამწყები მამის კოდექსის ყველა პუნქტი დამავიწყა!  
(პაუზა) ანალიზმაც დაადასტურა?

**თამარი** – დაადასტურა, დაადასტურა. რვა თვეში მამა განდები!  
მაგრამ წამოსვლისას ისევ გამაფრთხილა, აბორტს გაიკეთებ და  
სამუდამოდ უშვილო დარჩებით.

**დემეტრე** – ვე ჩვენ არ გვემუქრება. ხომ ასეა?

**თამარი** – აბა, რა!!

**დემეტრე** – მოდი, ახლა ეს გონჯი გორილა მოვისროლოთ ზაქროს  
საწოლიდან. ეყო, რაც ვეფერეთ ამ ნახერზით გატენილ მწვანე  
პლუშის სიმახინჯეს. (საწოლიდან საბანძოხევული მაიმუნი  
აძიოდო)

**თამარი** – (ვაძლევლივა, ძეგრდზე მიიხუჭა) ძალიან გთხოვ, ასე  
ნურასოდეს აწყენინებ ამ უმწეო სანდომიან მაიმუნს! დაგავიწყდა,  
რაც გაგვიგვთა? სკამი მოსწიო. (დემეტრე სკამს ძაღიდასთან  
ძარჩებს) დღეიდან ყოველ ჩვენ ოჯახურ დღესასწაულს  
დასწრება. (დასკამს სკამზე) ესეც ასე. ჭიქა დაუდგი და  
ჩაიც დაუსხი, თუ არ შეწუხდები. ღვინის სმა ამისთვის ჯერ  
ადრეა; პატარაა და რა ქნას? საგვარეულო ღერბების ტრადიცია  
რომ აღსღებოდეს, ყავისფერ ფონზე ამის მწვანე ყურებამდე  
გაღრეჭილ სიფათს აუცილებლად შევიტანდი. ეს ღერბი თაობიდან  
თაობას, შვილებიდან – შვილიშვილებს, შვილიშვილებიდან –  
შვილთაშვილებს გადაეცემოდა. ჩვენი ამბავი ვის გაახსენდებოდა?  
ეს მაიმუნი და ღერბიც მტვრად იქცეოდა, მაგრამ ოჯახის  
დამფუძნებლად მაინც ამას მიიჩნევდნენ. (პაუზა) ახლა მითხარი,  
ვინ დავუპატიჟოთ ამ ზემზე?

**დემეტრე** – შემიძლია ჩემს თანამშრომლებს დავურეკო. მყავს ერთი-  
ორი ნორმალური ბიჭი! თუმცა მოდი, ბაკაშა დავპატიჟოთ. რაც  
უნდა იყოს, ძალიან დაგვეხმარა.

**თამარი** – დღემდე აზრზე ვერ მოვსულვარ, ვე საქმე როგორ  
გაიჩარხა?! ნაძღვილად ჭეშმარიტება გითხარი, როცა ვთქვი,  
ადამიანებს ბედი რამდენჯერმე უღიმის-მეთქი! მაგრამ მერე,  
ოდნავ, თუნდაც სულ ოდნავ უარესობისკენ თუ წაუვათ საქმე,  
ყოველგვარი სიკეთე ავიწყდებათ.

**დემეტრე** – ყველას ნუ განსჯი, რა! შენ არ დაგავიწყდება?

**თამარი** — არასოდეს! გეფიცები!! ასეთი იღბლიანი არასოდეს ვყოფილვარ. ეს, ალბათ, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წელია.

**დემეტრე** — ამიერიდან უფრო უკეთ იქნება. ყველაფერი ახლა იწყება.

**თამარი** — ბატონმა გიორგიმ მითხრა: ხელშეკრულებაზე ასე ჯიქურ იმიტომ მივაწექი, რომ ჩემი პიესს მთავარი მოქმედი პირი — ქალი, ზუსტად ისეთი წარმომიდგენია, როგორიც შენა ხარო. შენი ქმრის თანაკლასელობითა და ბავშვური მეგობრობის სხვენის გამო ასეთი ამბები არ კეთდება. პიესს თითქოს შენთვის და შენზე ვწერდიო. მართლაც საოცნებო როლია. მის ყოველ სიტყვასა და საქციელს საკუთარი ხელებივითა ვგრძნობ.

**დემეტრე** — ჰო და, ბურჭულაძეს მოუწევს თანდათან შევიწროვდეს.

**თამარი** — მაგრამ, დემიკო, ეს ჩვენი სიხარული ოდნავ ნაადრევი ხომ არ არის? გიორგი ბაკაშვილის დაუქინებითა და მოთხოვნით, ერთწლიანი ხელშეკრულება კი გამიფუორმეს, მაგრამ, რად გინდა? მთავარი რეჟისორი რეპეტიციებს არ მინიშნავს. არა მგონია, პრემიერის შემდეგ მაინც რომ მათამაშონ ეგ როლი.

**დემეტრე** — რა უბედურება? შენ არ მითხარი, ვიციო?

**თამარი** — რა?

**დემეტრე** — რა და, რომ შემოვედი და პირი დავაღე, ეს გასაშტერებელი ამბავი მეთქვა, მომაკეტინე და ვიციო, მომახალე!

**თამარი** — მეგონა, შენ იმაზე ამბობდი, ამაზე კი არა! ჩქარა, მითხარი, რა უნდა გეთქვა?

**დემეტრე** — რა და, ბაკაშვილმა სამსახურში დამირეკა!

**თამარი** — მერე?

**დემეტრე** — ზვალიდანვე ბურჭულაძის მაგივრად რეპეტიციებს შენ გაივლი. ის ბურჭულაძე რატომდაც არ მოსწონს. ბევრს კი მიხსნიდა, ამიტომ და იმიტომ არ მომწონსო, მაგრამ ვერაფერი გავიგე. შენთვის თეატრიდან ჯერ არ დაურეკავთ?

**თამარი** — მეც ახლახანს მოვედი.

**დემეტრე** — დარეკავენ. ყველაფერი მოწესრიგდა.

**თამარი** — ზღაპარი თუ გინდა, ეს არის! (ერთმანეთს შესცეკრიან) მიდი, ბატონ გიორგის დაურეკე, ჩვენი ზღაპრული ნადიმი გაიზიაროს.

**დემეტრე** — უანა არ გამოუშვებს. შენზე ეჭვიანობს.

**თამარი** — რა საბაბი აქვს?

**დემეტრე** – საბაბი თუ არსებობს, უკვე აღარ ეჭვიანობენ. მაშინ  
ბრაზობენ და გიუდებიან.

**თამარი** – ეგ რომელი პიესიდან მომახალე?

**დემეტრე** – არის ასეთი პიესა, შენ ჯერ არ გეცოდინება:  
„ცხოვრებისეული გამოცდილებანი!“

**თამარი** – მაშინ ჩემს კეთილ მეზობლებს დაგპატიუებ. იმ ახალგაზრდა  
ყვითელ ხალათიან ქალს, შვიდი თვე ბავშვზე რომ არის  
გადაჯაჭვული. იმ ბუზღუნა მოხუცს თავის ქოლგიანად. გაიგოს,  
რომ ამქენებად ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებისთვისაც  
თავი არ მოუბეჭრებია. აი, ორივენი აივანზე არიან! ფანჯარას  
გამოვალებ და მთელი წმით შევძახებ: აქეთ, მეზობლებო, აქეთ!  
დაპატიუებული ხართ! (იჯინის, ფანჯარისკენ მორბის. დემეტრუ  
შეაჩერებს) საქციელს მიწუნებთ? თქვენ, როგორც სანიმუშოდ  
აღზრდილ მამაკაცს, გსურთ ვეახლო და ისე დავპატიუო? ასეც  
მოიქცევი. იმ პატარა ბიჭუნასაც დაგპატიუებ, ფორთოხლებს  
ურნაში რომ ყრის და გავახარებ, სუფაზე არანაირი ციტრუსი  
არ მექნება-მეთქე! (სიცილით მიუშერება, კაბა რომ ვადაიცვას)

**დემეტრე** – (შეაჩერებს) ასე თუ მოიქცევი, უნდა აუხსნა, საიდან  
იცნობ; მოგიწევს, აღიარო, რომ უთვალთვალებ. ეს ძალიან  
ეწყინებათ. ყველას სბულს თუ უთვალთვალებენ და უყვარს,  
ქვეყნასა და საზოგადოებას საზეიმოდ გამოპრანჭული რომ  
გამოუცხადება! ცხოვრება თეატრი არ გახლავთ!

**თამარი** – პირიქით! ცხოვრება საუკეთესოა იმ თეატრთა შორის,  
რომელიც ოდესმე მინახავს. იმ პროგონციულ ქალაქში სევდა  
რომ მომეკიდებოდა, ფოსტაში, ავტობუსების სადგურში,  
რკინიგზის ვაგზალზე, კაფეში, პოლიკლინიკაში ან კიდევ ვინ  
იცის, სად არ მივდობი და ვუცემდი ყველაზე თანამედროვე  
და მართალ სპეციალისტს, ყველაზე ნიჭიერი და შესანიშნავი  
მსახიობების შესრულებით. კარგი, ბატონო, გემორჩილებით. თუ  
ჩემი მეგობრების დაპატიუება არ მოხერხდება, დავრჩენილგართ  
ორნი და ეგ არის!

**დემეტრე** – რატომ ორნი? სამნი!!

**თამარი** – ოთხნი!

**დემეტრე** – ოთხნი? გვინდა, ტყუპებს გამიჩენ?

**თამარი** – (იჯინის) შესაძლოა, მაგრამ ამჟამად მაიმუნი ვიგულისხმე.  
მოდი, ვიცეპვოთ.

**დემეტრე** – მუსიკა რომ არ გვაქვს! რა უბედურებაა! პირველივე  
პრემიიდან მაგნიტოფონს ვიყიდი. რა ხდება?

**თამარი** – ორი თვის მერე შემეტყობა...

**დემეტრე** – საგანგებო კაბას შეგიკერავთ. დღეს რა რიცხვია? პრემია  
როდის მაქვს?

**თამარი** – მაგ პრემიას ისე ფლანგავ, თითქოს ნობელისას  
გაძლიერენ.

**დემეტრე** – მაგასაც მივიღებ. ახლა ყველაფერი შემიძლია, თამუნა,  
მე ბედნიერი კაცი ვარ! ეგაც არ იყოს, ჩემო სულელო გოგო,  
ორსულობა ხომ ქალის სილამაზე და მშვენიერებაა!

**თამარი** – მართალია! ძალიან განიერ კაბას შევიკერავ, მაქმანებით  
გავაწყობ, მკერდთან დიდ ბაფთას დავაკერებ და გრძელ  
ბოლოებს დავუშვებ...

**დემეტრე** – ბაფთა მოუხდება? არა მგონია.

**თამარი** – შე ჩემზე სულელო, ბაფთის ქვემოდ დაშვებული ბოლოები  
ყველაფერს დაფარავს.

**დემეტრე** – რა უბედურება!

**თამარი** – როგორც კი ისეთ კაბას ჩაიცვამ, რომელშიც არაფერი  
გემჩნევა, მაშინვე ყველა მისვდება, რა არ გინდა, რომ  
შეგამჩნიონ.

**დემეტრე** – ეგ გაწუხებს? თუ შეგრცხვება? ორსულობა ხომ  
ბუნებრივი ამბავია და რაც ბუნებრივია, ყველაფერი ლამაზი და  
მშვენიერია.

**თამარი** – მერე ხელშეკრულება? ხელშეკრულება ერთწლიანია.  
თანაც სამი თვე უკვე გავიდა. დაიწყება არასცენიური გარებრივობა,  
მშობიარობა, ძუძუს წოვება...

**დემეტრე** – არსებობს ელემენტარული კანონი: იმ ვადით, რაც მშვიდ  
მშობიარობასა და ბავშვის ძუძუთი აუცილებელ კვებას სჭირდება,  
ხელშეკრულებას გაგიგრძელებენ.

**თამარი** – ესე იგი, გამოვა, რომ თეატრი მოვატყუე!

**დემეტრე** – აბა, რას ამბობ?! როგორ მოატყუე? კონტრაქტში ჩაწერე:  
ამიერიდან სექსზე ხელს ვიღებო?!

**თამარი** – თუ ასეა, მეტი არაფერი დაგვრჩნია, უნდა ვიგრიალოთ!  
მოდი, ვიცეკვოთ.

**დემეტრე** – მუსიკა?

**თამარი** – სასულე ორკესტრი გნებავთ თუ ჯაზ-ბანდა? ახლა მე  
ვიმღერებ და ვიცეკვებ. შენ კა ძველმოღურო და ყავლგასულო

ადამიანო, მიცქირე და ისწავლე. (*ცუკვავს*)  
 „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,  
 ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...  
 ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,  
 სადა ხარ, სად ხარ, სადა ხარ?“ (*ციბრუტივით ტრიალებს*)  
**დემეტრე** – (*დაიძნა*) თამარ!...  
**თამარი** – როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ წვიმს,  
 ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს! (*უფრო სწრაფად, ვიჟივით  
 ტრიალებს*)  
 შენი მე სახება დამდევს თან ყოველ დროს, ყოველთვის,  
 ყოველგან!  
**დემეტრე** – თამარ! თამრი! შეჩერდი! შეჩერდი! ყველაფერი  
 დაგავიწყდა?  
**თამარი** – (*უფრო გაშმაგებით ცუკვავს*) შენი მე სახება დამდევს  
 თან  
 ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!  
 შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...  
 ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის!  
 (თამარის ცეკვა ისეთი სწრაფია, განწირულისა და  
 სასოწარკვეთილის ცეკვას პვავს).  
**დემეტრე** – თამარ! თამრი! თამრიკო! (თამარს არ ესძის, ისუგ  
 გაშმაგებით ცუკვავს)

## ჩანელება

### მეზუთე თავი

ივივე ოთახი. მურა ტახტი შეუძენიათ. ღარნაკი ყვავილებით  
 არის სავსე. გვიანი საღამოა. დემეტრე ძოლთასა სცემს. შემოდის  
 თამარი.

**დემეტრე** – რატომ დაიგვიანე? (თამარი სდუმს. მურა საწოლთან მივა  
 და ლოვინს იშლის). სად იყავი? ცოტაც და შენ საძებნელად  
 ქალაქში გამოვვარდებოდი.

**თამარი** – (*ჩუძად*) თეატრში შევრჩი.

**დემეტრე** – როგორ გგონია, თეატრში არ დავრეკავდი? ჯერ მითხრეს,

დღეს საერთოდ არ უნდა მოსულიყო. ბოლოს მიპასუხეს, ყველა კაი ზანია წავიდაო!

თამარი – სხვენზე ვიყავით, ჰატარა სარეპეტიციოში. ერთი სცენა არ გამოგვდის და...

დემეტრე – მერე, ვერ დამირეკე?! ხომ იცოდი, ვინერვიულებდი?

თამარი – რამდენჯერმე ვცალე, მაგრამ სულ სხვაგან ვხვდებოდი. ეტყობა, ან აქ გაფუჭდა ზაზი ან თეატრში.

დემეტრე – რა ვიცი, თეატრში დაუბრკოლებლად ვრეკავდი. (თამარი მავიდასთან ძრის და ხარბად სკამს წყვლის დაფი ბოთლიდან) მშიერი ზარ? რაღაც გემრიელი მოგიმზადე კომბოსტოსა და კარტოფილისგან. წიგნში წავიკითხე, არ ასუქებსო. (თამარი ტანსაცმელს იხდის) რეპეტიცია როგორ ჩატარდა? ბურჭულაძე ისევ მაყურებლის როლშია?

თამარი – ჰო, გვიყურებს.

დემეტრე – და ისევ არ გესალმება?

თამარი – ჰო, ძველებურად... არ მესალმება.

დემეტრე – სულ გამოყეყჩდა ეგ ქალი. შენი რა ბრალია?! ფურადღებას ნუ მიაქცევა...

თამარი – დემეტრე... თუ შეიძლება...

დემეტრე – ცუდად ხომ არ ზარ?

თამარი – ცოტა... (დაწვება)

დემეტრე – რა დაგემართა? რაღაც გაფითრებული მეჩვენები?! რაიმე მოხდა? რა მოგივიდა? რა მოხდა? (თამარი დუშს) რა მოგივიდა? შენ თუ ჩენ ბიჭს? (თამარი დუშს) სასწრაფოს გამოვიძახებ! (თამარი დუშს) ეგებ, რაიმე გვიშველონ! ეგებ, კერ გვიან არ არის?

თამარი – გვიან არის, დემიკო, უკვე ძალიან გვიან არის! (პაუზა)

დემეტრე – საავადმყოფოში იყავი?

თამარი – ჰო... არა, არა! ვიყავი... ექმითან ვიყავი... საწვიმარი... ლაბადა დამრჩა. ხვალ... თუ შეძლება... წამოიღე. (პაუზა)

დემეტრე – ამას რას მეუბნები! თავს როგორ ვერ მიხედე? როგორ ვერ გადაარჩინე? თამრიკო, მითხარი, რა მოხდა?

თამარი – კარგი... კმარა... დამშვიდდი...

დემეტრე – მე რატომ მამშვიდებ? საკუთარი თავი და ის უნდა გეცოდებოდეს. (თამარი დუშს) მითხარი, რა მოხდა? როგორ მოხდა? (თამარი დუშს) არა მჯერა! როგორ დავიჯერო?! ახლავე მითხარი, რა მოხდა! ოღონდ სიმართლე მითხარი და გეფიცები,

ამაზე არასდროს აღარაფერს გეტყვი! ვგრძნობ, შენც იტანჯები... მითხარი, ყველაფერი გულწრფელად მითხარი და ვეცადოთ, ამაზე კრინტიც აღარ დავძრათ. (თამარი დუშა) შენ თვითონ მიხვედი? შენი ნებით? (ყვირის) კი, მაგრამ რატომ? (ჩუმად) რისთვის მოკალი ჩვენი ბიჭი? (თამარი წამოდგება და აპირებს დეჭუტრებს მოუჯუროს) არც გაბედო! ხელი არ მახლო, შენი... შენც ისეთივე ნაგავი ყოფილსარ, როგორც ის გატყლარჭული გოგობი, ათობით აბორტს რომ იკეთებენ, ოღონდ ფიგურა არ გაუზუჭდეთ და ზედმეტი ხლაფორთი და შრომა აიცდინონ! ისე ადვილად იცილებთ საკუთარ დაუბადებელ შვილებს, თითქოს გადააფურთხეთ და სინიდისის ქენჯნასაც არ გრძნობთ!! ჭკუაც არ გყოფინით იმის გასააზრებლად, ბავშვი ცოცხალი არსება რომ არის. ისეთი გონებაჩლუნები, რეგვნები და ეგოისტები ხართ, გგონიათ, უფლება გაქვთ, სხვის სიცოცხლე განაგოთ! ასეთები ყოველთვის მეზიზღებოდა, გავურბოდი, მძულდა... მაგრამ შენ? შენ თუ... თუ შენც... (თამარი ისევ გადადგამს დეჭუტრებულ ნაბიჯს) არ მომეკარო! გვამის სუნი გდის! (პაუზა)

თამარი — (ჩუმად ტორის) „მიცქირე თვალში. შენ დადუმდი?

იგრძენი განა?

იწექი წყნარად და ბინდიან თვალში მიყურე...

ნურაფერს მეტყვი.

მე არ მინდა არავის ნანა. გინდ აღმიღები ისევ გული,

გინდ დამიხურე.

მიცქირე თვალში, ო, ჩემს თვალში

საშინელება იგრძენი განა?!

დემეტრე — ხედავ? ასეთ დროსაც სხვების სიტყვებით მპასუხობა...

თამარი — (ჩუმად) გუშინ ჩვენმა მკერავმა, გენერალური

რეპეტიციისათვის კაბას რომ მაზომებდა, მითხრა: „რა გემართება, თამარ, კაბის მოზომებიდან მოზომებამდე სუქდებიო?“ პატალას ხომ არ ველიდებითო?“ გარწმუნებ, დღეს ეს მთელ თეატრს ეცოდინება. ბურჭულაძესაც ეს უნდა. ისედაც თვალს არ მაშორებს და ჩემს რეპეტიციაზე სულ დარბაზში გდია!

დემეტრე — მკერავი! ბურჭულაძე! ეგნი ვინ მიყრია! ათასჯერ

გითხარი: საქართველოში ახალი კანონებია. ხელშეკრულება თუ

გაფორმდა, ნებისმიერი ორგანიზაცია ვალდებულია დეკრეტულ

შევებულებაში გაგიშვას და ხელი შეგიწყოს. ექვს იურისტთან

ვიყავი საკონსულტაციოდ.

**თამარი** – შენმა თურისტებმა ისიც ხომ არ გითხრეს, რეპეტიციები იმ პიესისა, რომელშიაც მთავარ როლს ვთამაშობ, დეკრეტიდან ჩემს გამოსვლამდე გადაიღებათ! ხომ არ გითხრეს, როგორც კი თქვენი მუსლინე დეკრეტიდან გამოვა და თეატრს დაუბრუნდება, იმ მთავარ როლს ისევ შესთავაზებენ!

**დემეტრე** – როლს, არა???

**თამარი** – დიახ, დიახ, როლს და მერე როგორ როლს! ყველა მსახიობი ქალისთვის საოცნებოს, ზღაპრულს!

**დემეტრე** – აზრზე მოდი, თამარ! დაფიქრდი, რას მუსიკი! რაღაც როლის გამო, რაღაცა აბდაუბდის, გიორგი ბაკაშვილის ნატრაკალის, ცარიელი, არაფრისმთქმელი სიტყვების გამო მიუსაჯე ჩვენ ბიჭს სიკვდილი? არ გებძის, რომ ის ადამიანი ველარასოდეს მოევლინება ქვეყნას. იმის მაგივრად გაჩნდება ბევრი ბავშვი, შესაძლოა, უკეთესიც, მაგრამ ის, კერძოდ, ის ადამიანი, აღარასოდეს მოგვევლინება. ახლა იმას ვერავინ ვერასოდეს ვერ ნახავს, ჩვენი ჩათვლით, ახლა ის აღარსად არის!! ახლა ის აღარავინ არის!! ნუთუ გულს არ გიხეთქავს ეს საშინელი სიტყვები: არავინ, აღარსად, არასოდეს! (თამარი ტირის) თანაც ეს შენთვის ბოლო შანსი იყო და ეს იცოდი. ახლა შენი მუცელი სამუდამოდ მკვდარია და აღარასოდეს გელირსება ბედნიერება, ვინმე შენს თავზე ძლიერ გიყვარდეს (პაუზა). ბიჭი იყო?

**თამარი** – არ ვიცი, არ მიკითხავს. შენ ისე კარგად გესმის ჩვენი შვილისა, რომელიც ამ ქვეყნად არ ყოფილა და ველარც იქნება, თითქოს მასთან ერთად გაატარე შენი ცხოვრების ყოველი წამი. ასეთი თუ ისეთი, მე მაინც ვარსებობ. ეგებ, მეც გამიგო. გულწრფელად გეტყვი: ალბათ მოჯადოვებული ვარ. თითქოს ვიღაც ქაჯი თუ ეშმაკი მექაჩება სცენისაკენ. ნორმალური ფიქრი, აზროვნება და შეგრძნება მხოლოდ მაშინ შემიძლია, როცა ვინმე მიყურებს. უღმერთოდ მიზიდავს უცხო, თუნდაც გამოგონილი ცხოვრება. რატომდაც, ჩემო დემეტრე, არ შემიძლია, ვიცხოვო მხოლოდ საკუთარ, ღმერთისაგან მონიჭებულ გარსში თუ ნაჭუჭში; ვიწუთები ამ სივიწროვეში, როგორც სამუდამო პატიმრობამისჯილი ცალკე საკანში. ჩემთვის აუცილებელია საკუთარი სხეული და არსება გავარღვოთ და სხვა ადამიანებთან აღმოჩნდე... თორებ... თორებ გავიგუდები.

**დემეტრე** – (პაუზის შემდეგ) მესმის... მესმის... ეს უკვე სუფთა სიგიჟე! ეტყობა, მძიმედ უნდა იყო ავად. კარგი. უკანასკნელად

შევეცდები, როგორმე გიშველო შენცა და საკუთარ თავსაც. ავადმყოფი თავის ავადმყოფობაში დამნაშავე არ არის. ფსიქიატრთან წაგივან.

თამარი — არა. ვერ წამოვალ.

დემეტრე — რატომ?

თამარი — რომ მიშველის?!

დემეტრე — გამოვანმრთელდები!

თამარი — არ მინდა! თუ მართლაც ავადმყოფობაა, ეს ყოფილა მოლი ჩემი სიცოცხლე და ეგ არის!

დემეტრე — (ხელუბს სახეზე ათვარუბს) თვითმკვლელებს ვერ ვიტან! (პაუზა)

თამარი — წასვლას აპირებ? (დემეტრე დუქმებს) არა! არა! ოღონდ ამას ნუ იზამ... ოღონდ ნუ მიძაჭოვებ... ჩემი კარგი ბიჭი ჩემგან ხომ არ წავა?... შენ ისე კეთილი ხარ... შენ დამაყენე ჩემთვის საოცნებო გზაზე... შენ მიშველე... შენ დამეხმარე... დემეტრე, მე ხომ ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ... (პაუზა. დემეტრე ადგება, ჩანთას ტახტზე დადგებს, ამაზანიდან გამოიტანს საპარსს, კბილის ჯავრისს; რამდენიმე პერანგს, ყელსაბამს, წივნხაც; ჩადგებს ჩანთაში, იღებს ჩანთასა და ლაბადას, ჯიბეში გასაღებს იპოვნის და მავიდაზე დადგებს. თამარი გაუზირუვლად შესცემის, დემეტრე კართან შედგება)

დემეტრე — რა უბედურება!

თამარი — უბედურება და ეგეთი?! (დემეტრე სწრაფად ვადის — კარზე შეძლმიერდნობილი თამარი დიდხანს დვას. მერე ტახტზე პირქვე დაუვდება. კარის ზარია. თამარი წამოხტება და კართან მიირბებს. კარს გამოაღებს. დირუზე ბაკაშვილია)

გიორგი — კარს ასე ღონივრად ნუღარ მიხურავთ. ძალი კარის სახელურზე მივაბი. შინ რომ შემოგვეშვა, თქვენი მოდური ფეხსაცმლიდან აღარაფერი დარჩებოდა. გიორგი, დაჯექი! დაჯექი რომ გეუბნები!

თამარი — ბატონო გიორგი... მაპატიეთ... ახლავე გადავიცვამ, არ გელოდით და... (კარს უკან გაუჩინარება)

გიორგი — (კორიდორიდან) საღამო მშვიდობისა! ამ ჩემ გიორგის ვასეირნებდი და ვხედავ, სინათლე გინთიათ. მაპატიეთ, გაუფრთხილებლად გეწვიეთ; არ მინდოდა, შემეწუხებინეთ და ვიფიქრე, მეზობლურად, შინაურულად ვესტუმრები-მეთქი! შეიძლება, შემოვიდე?

**თამარი** — აბა, რა! მობრძანდით, ბატონო გიორგი, ძალიან გამახარეთ.

**გიორგი** — (*შემოდის*) ეს ვინ არის? მემკვიდრე შეგეძინათ? (გავშვის საწოლიდან პლუშის მაიმუნს ამოიღებს) რა უცნაური ფანტაზია გქონდათ?! ამ სიმახინჯეს რა უნდა ბავშვის საწოლში? ლამაზი საბანიც რომ უყიდათ! სკამიც! თუ პატარას ელოდებით? (თამარს შეხედავს) არაფერი გემჩნევათ.

**თამარი** — არა, არ ველოდები.

**გიორგი** — ესე ივი, ყველაფერი ეს ამ უმახინჯეს სათამაშოს უყიდეთ? ვერ ვუყურებ! ეს რა საშინელებაა!! არ დავიზარებ და თუ არ გეწყინებათ, ნაგავში გადავუძახებ. ნაგავსაყრელი სადა გაქვთ?

**თამარი** — სადარბაზოში, კიბის მარცხნივ.

**გიორგი** — დემეტრე შინ არის?

**თამარი** — არა. არ გახლავთ.

**გიორგი** — ასე გვიან სად გააგზავნეთ? მალე მოვა?

**თამარი** — არა. არ მოვა.

**გიორგი** — იჩხუბეთ? არა უშავს, ხდება ხოლმე.

**თამარი** — არ გვიჩხუბია.

**გიორგი** — მივლინებაშია?

**თამარი** — დიახ.

**გიორგი** — და სულ არ ეშინა, თქვენსავით ლამაზ ქალს მარტოდ რომ სტოვებს? შეშლია ჩემს კლასელს! თუმცა, ალბათ, ამ საზარელი ურჩხულის იმედი აქვს. ხომ ასეა?

**თამარი** — დიახ, ეს მაიმუნი ჩემი მცველია.

**გიორგი** — ხედავთ? ყველაფერი გაირკვა. კაცობრიობის დასაბამიდან ასე იყო: მზეთუნახავებს გველეშაპები და ურჩხულები იცავდნენ. ახირებულ ხალხს ვერ ვიტან, თუმცა, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი იოლი და მარტივი აღმოჩნდება-ხოლმე. (ნულა დაჭინს, შველაფერს ათვალიერებს) ეს ხმალაღმართული ლამაზმანი უფაროდ რატომ არის? უანა დარკია თუ ათინა-პალადა?

**თამარი** — არა, ეს კორნელის თუ რასინის პერსონაჟი უნდა იყოს.

**გიორგი** — ისეთი საშინელი დრო და ომებიც ყოფილა ამ ქვეყნად, როცა მზეთუნახავებიც კი იბრძოდნენ ვაჟკაცების მხარდამხარ; თუმცა ქალი ღმერთმა მხოლოდ იმიტომ გააჩინა, რომ სიკვდილი კი არა, სიცოცხლე გვაჩუქოს! როგორც ლათონები იტყოდნენ: ნე გიადიუმ ტოლას მუღარ — ხმალს ნუ აღმართავ, ქალო! იცით, ძალიან მომწონს აქაურობა. მყუდროდ მოწყობილხართ, ბავშვის

ეს ცარიელი ავეჯიც ოპტიმისტურად და იმედიანად ანათებს. რატომღაც ამ წუთას, თქვენთან ვიგრძენი, როგორ გავსივდი და გავნივთდი. დიახ, სამწუხაროდ, გავნივთდი – განვხორციელდი კი არა... ახლა ასე მოვიქცეთ: რახან ბავშვს არ ელოდებით, ცოდვად არ ჩაგვეთვლება, თითო ჭიქა გადავკრათ (მხარზე ვადაკიდებულ მოდური ჩანთაქან ბორლს აძიოდებს)

თამარი – ბოდიშს გიხდით, მაგრამ მე ვერ დავლევ... ცოტა...

გიორგი – (აწყვეტილებს) ავად ხომ არ ხართ? გეტყობათ... დღეს, რაღაც, ფერმკრთალი მტევნებით... მაგრამ ძალიან გიხდებათ. არა უშავს, ერთ ყლუბ შავ დეინოს ჯერ არავინ მოუკლავს. (თამარს ჭიქები გამოაქვს, დაასხამს) გაგიმარჯოს, თამარ, მშვენიერი, შესანიშნავი მსახიობი ბრძანდებით. თქვენს რეპეტიციებს ვესწრებოდი და ძალიან მომწონდა. ჩემი აზრით, ამ როლში ძალიან დიდი წარმატება გექნებოდათ...

თამარი – (აწყვეტილებს) კი, მაგრამ წარსულ დროში რატომ მელაპარაკებით?

გიორგი – იმიტომ, რომ თეატრიდან მოვდივარ. ხელჩართული ბრძოლა გამიმართეს; თქვენთვის ლომივით ვიბრძოდი, მაგრამ, ამ გამოთქმისთვის ბოდიში, ვირივით დამამარცხეს. მთავარმა რეჟისორმა: ჩადუნელს ვერ ვხედავ ამ როლშიო. დამიჯერეთ, ყველაფერი ვიკისრე, რაც შემეძლო და არ შემეძლო, ან არ ვპალრულობდი, მაგრამ... გამოგიტყვდებით, თქვენთვის კი არა, უფრო სპექტაკლისთვის ვიბრძოდი, მაგრამ რას გააწყობ? სპექტაკლის „ხაზეინი“ ის არის. პიესას უკან ვეღარ გამოვართომევ; ჰონორარი კარგა ხანია გაფლანგა ჩემმა უანამ. თანაც ჩვენი ამასწინა პიესიდან კარგი სპექტაკლი გამოიყვანა! მოდი, ერთად განვსაჯოთ: მტყუანია თუ არა თქვენს წინაშე? ბურჭულაძე ხომ იმისი ცოლია! რჩეული! რაც უნდა წაიკითხოს, მთავარი გმირი ქალის როლში ყოველთვის იმას წარმოიდგენს, ადამიანს, რომელიც ყველა ქართველ ქალთა შორის ამოირჩია. თითქმის ყველა გენიალური რეჟისორი თავის სპექტაკლებსა და ფილმებში, გენიალური მხატვრები კი ტილოზე – მხოლოდდამხოლოდ საკუთარ მეუღლებს, საყვარლებს ან რჩეულებს აკავებდნენ და ხატავდნენ. ვინ დაძრახავს ან გაკიცხავს მათ? ასეთ შემოქმედებს ჭეშმარიტება და ფანტაზია ისე აქვთ აზელილი, ძნელად მიხვდები – აქტრისა ბევრს იმიტომ თამაშობს, რომ მთავარი რეჟისორის

ცოლია, თუ ცოლი იმიტომ არის, ბევრს რომ თამაშობს.  
შემოქმედიც ხომ ადამიანია? ჰომო ესტ! (პაუზა)

თამარი — ესე იგი... ხვალ დილით... რეპეტიციაზე არ უნდა  
მივიდე?

გიორგი — სამწუხაროდ. მთავარს თვითონ უნდოდა, თქვენთვის  
დაერეკა. მაგრამ ვუთხარი, ჩემი მეზობელია, შინ მივდივარ, ბარებ  
შევუვლი და ყველაფერს ვეტყვია-მეთქი! (აღვება) ძალიან დიდ  
ბოლიშს გიხდით, ასეთი შავი ამბები რომ მოგიტანეთ, მაგრამ  
პირადად მე, გიორგი ბაკაშვილს, ძალიან მინდოდა, სულელური  
და, გამორიცხული არ არის, უტაქტო, უხამსი სცენები თავიდან  
აგეცილებინათ (პაუზა)

თამარი — რას ბრძანებთ? თქვენ საბოლიშო რა გაქვთ? პირიქით...  
თქვენი... ძალიან მადლობელი ვარ. მაპატიეთ, ასე ცუდად რომ  
დაგხვდით, მაგრამ ცოტა დაღლილი ვარ და... თუმცა ამას რა  
მნიშვნელობა აქვს... მაპატიეთ... ბოლიში...

გიორგი — აბა, წამსვლელ-დამრჩენისა იყოს! (კიდევ ერთ ჭიქას  
დაისხაძს და დაღვენს) ახლა გავიქცევი. მშვიდობიან დამეს  
გისურვებთ... ეცადეთ, გულთან ძალიან ახლოს არ მიიტანოთ,  
რაც მოხდა. კარგზე იფიქრეთ. მშვინიერი, ლამაზი ქალი  
ბრძანდებით, ვინ იცის, რამდენი ტებილი მოგონებები გექნებათ.  
ბოლოსდაბოლოს, დემეტრე გაიხსენეთ. ისე ძალიან უყვარხართ,  
როგორც მე მიყვარდა სიძლერის მასწავლებელი, მეორე კლასში  
რომ ვიყავით; ანუ უძმედოდ და სამუდამოდ! მე ხომ თთქმის  
მიყვარხართ, ისე როგორც ის პერსონაჟი მიყვარს, თქვენ რომ  
უნდა გეთამაშათ. გაგეცინებათ და ვეღარაფრისთვის მომიცლია!  
ძლივს მივაღწიე იმ რანგს, რასაც მივაღწიე და ახლა მოღუნების  
უფლება აღარა მაქვს, სულ ვმუშაობ. მიხარია, რომ ამ  
აურზაურში ერთმანეთი დავინახეთ (ჩერზე კოცნის) ხანმოკლე  
იყო ეს ნეტარება, მაგრამ ვინ იცის? ამქვეყნად ყველაფერი  
ხდება. მოკიდეთ ხელი თავგასას და გვესტუმრეთ. (ვაღის)

თამარი — ღამე მშვიდობისა, ბატონო გიორგი. გმადლობ, რომ  
შემოგვიარეთ. (კარს მიკეტავს, ოთახში ძრუბებება, იატაკიდან  
მაიმუნებს აიღებს, ვაწმებდს. კარის ზარია, თამარი მაიმუნიანად  
გარბის, კარს აღებს, ისევ ბაჟაშვილია)

გიორგი — დანაპირები უნდა შეგასრულო: მომეცით ეგ საფრთხობელა,  
გადავაგდებ, თორებ საშინელი სიზმრები დაგტანჯავთ.

**თამარი** – (მაიმუხს ძიახულებს) არა, საჭირო არ არის. ნუ  
შეწუხდებით... მერე... ხვალ... თვითონ მოვუკლი.

**გიორგი** – თქვენი ნებაა! (მიღის. თამარი თავაზში შებრუნდება.  
დიდხანს დვას მაიმუხით ხელში. შორიდან სიმღერა ისმის. თამარი  
კი ისევ დვას. მერე გააძოლებს. ჯერ ფანჯრიდან იხედება. მერე  
დანჯად ძივა ტკლუფონთან. ნომერს აკრებს)

**თამარი** – ბატონო გიორგი, მიხვედით? უკვე შინა ხართ? დიდი  
ბოდიში ასე გვიანი ზარისათვის... ქალბატონ ჟანასაც ვუხდი  
ბოდიშს. დიახ, დიახ, ისევ მე ვარ, ჩადუნელი. ბატონო გიორგი,  
ამ თქვენ პიესაში, ჩვენი თეატრი რომ დგამს, მეორე აქტში ერთი  
ეპიზოდია: ფოსტალიონს წერილი მოაქვს... დიახ, დიახ, ორიოდე  
ფრახა აქვს. დიახ, მსახიობი უკვე შერჩულია. გავთავხედდები  
და გთხოვთ... არ შეგიძლიათ, მთავარს სთხოვოთ, ეგებ, მეც  
დამნიშნონ? დიახ... დუბლიორად... ერთს ის ითამაშებს და მეორეს  
– მე... მესმის... მესმის... რა თქმა უნდა, ნებისმიერს შეუძლია  
ითამაშოს... მაგრამ... თუ შეიძლება... ძალიან თუ არ შეწუხდებით,  
თუ ძალიან უხერხული არ არის, უგებ მიშუამდგომლოთ ან უკეთესი  
იქნება, სთხოვოთ მთავარს. ძალიან გთხოვთ... თუ შეიძლება...  
(თანხდათან ბრუნდება. განათებულია მხრილოდ ხმალმოღერულებული  
ქალის ქანდაკება). გთხოვთ... გემუდარებით...

## ფარდა